გაზეთი ბოლქვნილა, „ვოლნოესი“ ეწოდა

ვოლნოესი

ფასი 50 თეთრი

№34 (929) 7 - 8 აპრილი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ღარიბაშვილმა საქართველოს მასშტაბით ტურნე დაიწყო

გვ. 7

გეგმა, რომლითაც კრემლი ჯავახეთს წაგვართმევს

გვ. 3

სისხლიანი პროვოკაცია გარუსებული სომხების დასაცავად

დიდი დეპრესია ქართულ ციხეებში

გვ. 8

ნერწყვის ინექცია, „ობშიაკი“ და „მაზავშიკები“

დაკანონებული საბიუჯეტო მაფია

ვინ უნიშნავს სახელმწიფო შპს-ებისა და სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელებს შოკისმომგვრელ ჯამაგირს

გვ. 5

თიბისი ბანკმა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისთვის ქართულ ბაზარზე პირველი საერთაშორისო ჯილდო მიიღო

რა ელის „ფუდმარტს“

გვ. 6

დიტო გელოვანი

„ოოო, ალექსანდროს გაუმარჯოს, — ატყდა შეძახილები, — როგორა ხარ. ხომ კარგად, როგორ ბრძანდები, ალექსანდრო ბიძია... ახალს რას გვეტყვი!“ „ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობისათვის!“ „მიდი, მიდი! დასცხე შენებურად!“ „სიჩუმეს ვითხოვ და ყურადღებას“, — ისევ ხელისგული აჩვენა ხალხს ალექსანდრომ. პირველ რიგში, ვიღაცამ ვერ მოითმინა, წამოდგა, ალექსანდროს ხელისგულზე დააკვირდა და უმკითხავა: „ამ ერთ თვეში დაბრმავდები“ „აბა რა მომივა თქვენს შემხედვარეს?! — ხელები გაშალა ალექსანდრომ და ჩაიცინა, — კმარა, დავიწყოთ, თქვენ ბოროტად იხუმრეთ, მე — კეთილად, ახლა კი გვეყოფა, ვიწყებთ“.

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

წუნკლი, წუნკლი, პაჭარა ნუგო...

რაღაც გვეყოფა, რაღაცას ვიწყებთ. რაღაცის დაწყება ყოველთვის რაღაცის დასრულების შემდეგ იწყება. კოჰაბიტაცია დასრულდაო და, თუ მაგის დასრულება ნაცბოზბანდელების დაკითხვებზე აქეთ-იქით წანწალის დაწყებას გულისხმობდა მხოლოდ, ახლავე ვაცხადებ, რომ ეგ არის ცოტა. რა არის დაკითხვა? დაკითხვა არის კითხვა-პასუხი პროკურატურაში, შემდეგ კითხვა-პასუხი პროკურატურასთან და ბოლოს, კითხვა-პასუხი პროკურატურის შესახებ რომელიმე სტუდიაში, რომელიმე მყვირალა ან მკნავარა წამყვანთან. სულ ეს, ყოველ შემთხვევაში — ჯერჯერობით.

სხვა საქმეა აი, ის — „ფრთები, ფრთები გვინდა, კიდევ ფრთები გვინდა“ და „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით...“

გავშალოთ, რა, ფრთები, თორემ გაიმაგრეს ფესვები და ეგ არის და ვინ იცის, გავა ერთი ორი წელიწადი და ვიღაც ისევ დაიჯერებს 2003 წელში ნათქვამს და აწ კვლავ გამეორებულს „მე ახლავე შემიძლია დავწერო ბედნიერი სახელმწიფოს სრული დეკლარაცია“.

მოკლედ, სულს მოსწყურდა თავისუფლება და არ ვიცი, არის თუ არა სადმე სხვა საქართველო, მაგრამ ის, რომ ბევრის თავისუფლება ვიღაცების თავისუფლების აღკვეთაზე გადის, მგონი, მხოლოდ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ეპოქის დამახასიათებელი რამ გახლავთ და „უდიპლომო სასიძოს“ თუ გავიხსენებთ, იქ ფერმის გამგე ასეთ სიტყვებს ამბობს: „ეს ფარდული შეჰფერის ჩვენს ეპოქას?“

არამც და არამც!!!

ამბობენ, გამეორება ცოდნის დედააო... დედაა, იქნებ მამაც იყოს ან სხვა ვინმე ტკბილად ახლობელი. მოკლედ, რაღაც მინდა გავიმეორო, მინდა, გავიმეორო ის, რაც ბევრჯერ გამიმეორებია, მაგრამ აქ პირველად ერთი კვირის წინ ვთქვი და ახლა სიტყვა-სიტყვით გავიხსენებ: „რამდენმა უნდა დაიგინოს, რამდენჯერ უნდა დაიგინოს, რა უნდა დაიგინოს... აზრი არ აქვს, უშუბლისძარღვოს რა უნდა ელაპარაკო?! საერთოდაც, ყველა საქმეს ცოდნა უნდა, მათ შორის ლაპარაკსაც. ადამიანების ბევრი სხვადასხვანაირი კატეგორია არსებობს, ზოგს ტკბილი სიტყვა ესმის, ზოგს დაყვავება, ზოგს მკაცრად უნდა უთხრა, ზოგიერთს გინება შველის, ისეთებიც არიან, სანამ ფეხქვეშ არ წაიგდებ, ვერაფრით შეაგნებინებ, რომ თოვლი თეთრია“.

ჰო, აი მაშინ, ერთი კვირის წინ რაღა, დავწერე თუ არა ეს, სულ რამდენიმე წუთში ნიუსი ნიუსზე წამოვიდა და რომ გითხრათ აღვშფოთდი, შევშფოთდი ანაც მოულოდნელი იყო-მეთქი, ნამდვილად არ ვიქნები მართალი.

როგორც გითხარით, ნიუსი ბევრი იყო, მაგალითად ეს: „ნაციონალური მოძრაობა პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს მოუწოდებს, დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტის გამოძიება პირად კონტროლზე აიყვანოს. ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა, დავით ბაქრაძემ დღეს პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. „ის, რაც მოხდა გუშინ, როგორც ჩანს, ნიშნავს იმას, რომ ოპოზიციასთან ბრძოლა გადავიდა თვისებრივად ახალ ეტაპზე, როდესაც კრიტიკული აზრის გამოთქმა, უშუალოდ, უკავშირდება ფიზიკური არსებობის რისკს. მე მინდა, წინასწარ მოვუწოდო ხელისუფლებას, ნუ ეცდება არსებულის გამართლებას რაიმე კონფლიქტის ან შელაპარაკების ვერსიით. არანაირი შელაპარაკება არ ყოფილა. კარგად მომზადებული და შეიარაღებული რვა ადამიანი სპეციალურად ელოდებოდა დეპუტატს საკუთარ სახლთან, მათ არ მოსვლიათ არანაირი შელაპარაკება, არ თქმულა არც ერთი სიტყვა. მისვლისთანავე, პარლამენტის წევრს თავს დაესხნენ და ცდილობდნენ, ჩაესვათ მანქანაში, გაეტაცებინათ. ეს ვერ მოახერხეს მხოლოდ მისი ფიზიკური წინააღმდეგობისა და მეზობლების ჩარევის გამო. ჩვენ მოვითხოვთ ამ ფაქტის უსწრაფეს გამოძიებას, ვინაიდან ნებისმიერი გაჭიანურება ამ საქმის გამოძიებისა, დაადასტურებს ეჭვს, ჯგუფი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, გახლდათ კარგად მომზადებული და სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი, სავარაუდო კავშირებით ძალოვან სტრუქტურებსა თუ სპეცსამსახურებთან“.

პაჰ-პაჰ-პაჰ, ქლიბი რა დღეშია!!! შეგახსენებთ, ეს ის ქლიბია, ფრჩხილებამდე და კბილებამდე შეიარაღებულ ოკუპანტებთან ჩანგლებითა და კოვზებით ომისკენ რომ მოგვიწოდებდა, ახლა კი ირკვევა, რომ ერთ ისე რა აღზრდილ და საშუალოდ გაწვრთნილ ნაციონალს, თურმე თავისუფლად შეუძლია რვა კარგად მომზადებულ და შეიარაღებულ პირთან გამკლავება ისე, რომ, როგორც წუკლარას სახის დათვალიერების შემდეგ მივხვდი, მას ხელიც კი არ მოხვედრია, ოდენ ჯოხი და ისიც მსუბუქად.

თან, არ დაგავიწყდეთ, ბაქრაძე-ქლიბაძისა ხელს ძალოვნებისკენ იშვერს.

ანუ: შეიარაღებულია, გაწვრთნილია, ძალოვანია, ჩასაფრებულია, რვა სულია (ახლა ისიც ვიანგარიშოთ, თითო სულზე რამდენი კუნთი მოდის) და ერთ ფარჩაკს ვერაფერს აკლებს.

გაგიკვირდებათ, ავთანდილოვიჩ, ის კიდევ მოვიდა!

გაგიკვირდება კი არა და, საერთოდ წარმოუდგენელი და ბუნებაში შეუძლებელია, ხოლო ის, რაც ბუნებაში შეუძლებელია, მით უმეტეს, შეუძლებელია დიღმის მასივის მეხუთე კვარტალში იქ, სადაც რამდენიმე ათეულ მეტრში სახინკლე „ტექსელი“ მდებარეობს.

არა, არა... რაღაცაშია საქმე, სადღაც ძაღლის თავია დამარხული.

სანამ ძაღლის თავის ძებნას დავიწყებდეთ, იმ ნიუსის დასასრულსაც ჩავხედოთ: „ამიტომ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, უმოკლეს ვადაში გამოიძიოს ეს ფაქტი და მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, პირად კონტროლზე აიყვანოს ეს გამოძიება და უზრუნველყოს, რომ საქართველოს პარლამენტის წევრის გატაცების მცდელობა იყოს შესაბამისად გამოძიებული და ყველა დამნაშავე დასჯილი“, — განაცხადა დავით ბაქრაძემ. დეპუტატ ნუგზარ წიკლაურს წუხელ ფიზიკურად გაუსწორდნენ. დეპუტატის თქმით, მას სახლთან სამი მანქანით რამდენიმე ნიღბიანი დახვდა, რომელთაც მისი გატაცება სცადეს. წიკლაურის თქმით, თავდამსხმელებმა ელექტროშოკიც გამოიყენეს“.

აჰა�ა... სამი მანქანით ყოფილან და ელექტროშოკებიც ჰქონიათ.

ახლა, უცებ, ბავშვობაში მრავალჯერ გადაკითხული ლადო მრელაშვილის „იყალთოელი ბიჭები“ გამახსენდა და თქვენც გაგახსენებთ: „ხა-ხა-ხა-ხა! ხალხო, გაიგეთ? — იჭაჭებოდა მერგოლური, — ანგელოზებს თოფები ჰქონიათ“. „ვე-ჰე-ჰე-ჰე! — ბანს აძლევდა მეღორეობის ფერმის მწყემსი, — წინათ ხმლები და შუბები ეჭირათ“. „რას იზამ — ხითხითებდა ზაზანაშვილის მამა, — ტექნიკა წინ მიდის და ანგელოზები რად ჩამორჩებოდნენ?“ „არ შეგიმჩნევია, დიმიტრი პაპავ, რომელიმეს წელზე ატომური ბომბი ეკიდა თუ არა?“

რვა ძალოვანი კაცი სამი მანქანით და ერთი ასოთამწყობი ნუგზარ წუკლარა. მოდი და, ნუ გაგეცინება.

მაგრამ, სად არის ძაღლის თავი დამარხული?

სად და, ჩემი ღრმა რწმენით, აეროპორტის ტრასაზე, გამოქვაბულივით შენობა რომ არის და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა რომ აწერია. ერთს რომ რვა დაესხას, ეს სწორედაც რომ ნაცთა წესია. მთავრობას წუკლარას ცემა არაფერში აწყობდა, რვა განრისხებული მოქალაქე კი როგორმე მეტს მოახერხებდა. რა ეტყობოდა წაკლა-წუკლარას საიმისო, რომ გამწარებული ადამიანები დახვდნენ? გატაცების მცდელობის ვერსიაც გასათვალისწინებელია. სად უნდა წაეყვანათ? რატომ უნდა წაეყვანათ? თუ ცემაა, იქვე მიჩექმავდნენ და ისიც ხომ ვნახეთ, რომ სულაც არ ჰგავდა მიჩექმილს, ისეთს, სერიოზულად რომ მოხვდა სერიოზული.

ოოო... მაგას კი მოხვდა არმაგედონის ზანგის სერიოზული და კინგ-კონგის უსერიოზულესი!

ისე, კარგი სანახავი იქნებოდა ხრუშჩოვკის სადარბაზოში არმაგედონის ზანგთან ახლადდაახლოებული, ნაგავში, მტვერში წამოკოტრიალებული ნუგზარ წიკლაური „იდენტობის“ წევრობის დამადასტურებელი საბუთით ხელში.

სოციალურ ქსელში წავიკითხე, ერთი წერდა და უამრავი ეთანხმებოდა — ისეთი კაცის დედა ვატირე, რომლის ცემაც მთელ ქვეყანას გაუსწორდებაო. არა, არა, ეს ყველაფერი ნაცების ამბავია, თორემ ვინმე გამწარებული და ღირსეული რომ დახვედროდა, ზუსტად იმ სიტყვებს ეტყოდა, რომლებიც მოხუცმა სანტოსმა მასიმოს უთხრა — „ახლა კი გიშვებ როგორც ნაბიჭვარს. წადი“.

მაგრამ წიგნი წიგნია, გამოგონილია და ლამაზია, ცხოვრება, სამართლიანობა და კანონის უზენაესობა თავისას მოითხოვს — „ნაცებო, ახლა კი გაგასამართლებთ როგორც ნაბიჭვრებს. მოდით“.

და გასულ კვირაში დაბარება იყო დაბარებაზე, დაკითხვა დაკითხვაზე და წუწუნი წუწუნზე. ტაბულიე ბიცოლამ — ღარიბაშვილსა და ივანიშვილს ჯოჯოხეთს მოვუწყობო... თითქოს ყოველდღიურად და ყოველკურიერულად არ იყოს ჯოჯოხეთი და მისი მაშხალები — თეა თუთბერიძე, გიორგი კანდელაკი, გოგა ხაჩიძე, კობა ხაბაზი და კვერცხუჯრედნი მათნი. სადღაც გასუსულები არიან და ქართველი ხალხისთვის ქვესკნელიდან ამნეზიის მოვლინებაზე ოცნებობენ მაია ნადირაძე, ზაზა ბეგაშვილი, კობა ბექაური, ბიძინა ბრეგაძე, გია თორთლაძე, კოკო გამსახურდია, კოტე კემულარია, გიორგი არველაძე და სხვები და სხვები. არავინ და არაფერია დავიწყებული, მაგრამ დახეთ უნამუსო თავხედობასა და ოინბაზურ კუკუზნაკობას — „მიხეილ სააკაშვილი: „სრულიად მზად ვარ მშვიდი ცხოვრებისთვის, მაგრამ აი, პუტინი ისევ არ მასვენებს“.

აბა რა, ბებიაჩემს „წისქვილში“ წილი რომ ჰქონოდა და დამეყოლიებინა, წილი უსასყიდლოდ დაეთმო, მეც სრულიად მზად ვიქნებოდი მშვიდი ცხოვრებისთვის, მაგრამ ბებია აღარ მყავს და ეგეც არ იყოს, რა დროს სიმშვიდეა? მშვიდად მაშინ ვიქნები(თ), როცა ვიღაცებს დედები აღარ ეყოლებათ, ოღონდ — ეთიკის, მორალისა და კანონის შესაბამისად, თორემ რომელიმე წუკლარას სადმე გადაეყარო, ლაპარაკში წამოიკიდო და თავყბა გაუერთიანო, ეგ ვერაფერი სახელმწიფოებრივი ხილია და თან... ყოველთვის მოესწრება.

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ გასული კვირის მთავარი მოვლენა, რომელსაც გასული კვირის მთავარი გმირი იხსენებს: „8 ადამიანი დამესხა თავს. მათი მთავარი ამოცანა იყო ჩემი მანქანაში შეტენვა და გატაცება. ბრძოლის დროს ეს ყველაფერი დაინახა მეზობელმა, დაიწყო ყვირილი. ყვირილის შემდეგ ისინი გაიქცნენ. სახეები ჰქონდათ დაფარული. ერთნაირად იყვნენ ჩაცმულები და მოქმედებდნენ ძალიან ორგანიზებულად. ერთი, რაც თქვეს, მთელი ამ ბრძოლის განმავლობაში იყო ის, რომ ვერ ჩამტენეს მანქანაში და გამოეყენებინათ ელექტროშოკი. ამის გაგონების შემდეგ ჯერ თავის არეში, შემდეგ კი მარჯვენა ფეხის არეში ვიგრძენი დენის დარტყმები“.

თითქოს, ყველაფერი მოვყევი, რაც მოხდა და ყველაფერი ვთქვი, რაც ვიფიქრე, მაგრამ ისე როგორ იქნებოდა, ასომთავრულ ენჯეოშნიკებს წაკლა-წუკლარას სიბინძურეშიც არ წაეყოთ თავიანთი ფაქიზი ცხვირები — ნუგზარ წიკლაურზე თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით ორგანიზაციები: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ და „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ“.

თქვენი დატრენინგებული შუბა კი დავხიე!!! და, საერთოდ, სულ რამდენი შუბა უნდა დაიხიოს იმისთვის, ამ ქვეყანაში ადამიანებს ნორმალურად ცხოვრების საშუალება მიეცეთ? და სანამ შენ მაგათ შუბებს ხევ, სულ ახალ-ახალი შუბები იკერება და რამდენის ბაბოც არ უნდა გაათხოვო, მოდიან და მოდიან ახლები, ხელში ფალოსებით, თავში ფალოსებით, მოდიან და მოდიან ფალოსოფოსები, მსჯელობენ ფილოსოფიურად და მანამ არ მოისვენებენ, სანამ ხალხს არ დააფალოსებენ.

აბა, ის რა იყო, შალიკო ნათელასბიჭმა თბილისის მერობის კანდიდატად ასმათ ტყაბლაძე რომ დაასახელა და ასმათ ტყაბლაძე გაინაზა, იმიტომ უნდა მომცეთ ხმა, ქალი რომ ვარო. ოეეე... ქალი არის თინა ბოკუჩავა, მაგრამ ხმას მაინც არ მივცემ. აქეთ მომცეს თუ კაია და ისიც ხომ კაია, როლანდ ახალაიამ რომ თქვა, უფლის სიყვარულის გამო მსჯიანო! ისიც ხომ მაგარია, მწვანე გაჩეჩილაძე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას რომ მოითხოვს და თვალებში ეტყობა, მწვანე უმრავლესობით მოსვლის იმედი აქვს.

მაგაროოო: „ყირგიზეთის ყოფილ პრეზიდენტს, ყურმანბეკ ბაკიევს ბიშკეკის სასამართლომ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია მიუსაჯა. ყირგიზეთის ექსპრეზიდენტი ბრიტანელი ბიზნესმენის, სინ დეილის მკვლელობის ორგანიზებისთვის გაასამართლეს. ამასთან, ბიშკეკის სასამართლომ გაასამართლა ბაკიევის ოჯახის წევრებიც. ბრიტანელი ბიზნესმენის მკვლელობის ორგანიზებისთვის ბაკიევის ძმას, ჯანიშ ბაკიევს და ყოფილი პრეზიდენტის ვაჟს, მაქსიმს სამუდამო პატიმრობა, ხოლო კიდევ ერთ ვაჟს – 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა“.

დღეს ჩვენ, ყველანი ყირგიზი მოსამართლეები ვართ.

აი, კიდევ ერთი მაგარი: „აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ჯონ ბეინერი საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის, გიგა ბოკერიას დაკითხვას ეხმაურება. ამის შესახებ ჯონ ბეინერი საკუთარ ვებგვერდზე იუწყება. ამასთან, ჯონ ბეინერი შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოში ყოფილი მაღალჩინოსნების დევნის გამო“.

გაგიკვირდებათ, მაგრამ ამ ნიუსს ვიღაც-ვიღაცებმა მართლა მიანიჭეს დიდი მნიშვნელობა, არადა ძალიან მარტივადაა საქმე — გიგას მაგისთვის პატივი აქვს ნაცემი და იმასაც ამისთვის მასტი ხომ უნდა დაეჭირა და „ატმაზკა“ (გახსოვთ ეს სიტყვა?) ხომ უნდა აეღო! ერთი-ორი კვირაც და, მისტერ ჯეინერი უკმაყოფილოდ გააქნევს თავს, აბა, მე რა ვიცოდიო და მერე გიგა დააქნევს თავს უკმაყოფილოდ და მისტერ ჯეინერის უმადურ დედას უხამსად მოიხსენიებს.

ხოლო ჩვენ ვერავინ დაგვიშლის, რომ ხშირხშირად მოვიხსენიოთ მათი დედები, პირველი ოქტომბრის შემდეგ თბილისის მერიის სხვადასხვა კანტორების სამეთვალყურეო საბჭოებიდან ქალაქის ბიუჯეტს რომ წოვდნენ.

ვინ დაგვიშლის? ვერც ვერავინ! ჩვენ ხომ სრულიად საქართველოს ხალხთან არსებული შპს „სამართლიანი ბილწსიტყვაობის“ სამეურვეო საბჭოს წევრები ვართ.

ე.ა. (ეჰ, ადამიანებო) ...არეულობით ყველამ ისარგებლა და დიდი, გრანდიოზული ჩხუბი გაიმართა. „ადამიანებო — სცენიდან ყვიროდა ალექსანდრო — ნუთუ თქვენზე ასე იმოქმედა ჩემმა დამყვავებლურმა საუბარმა, ადამიანებო!

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

გეგმა, რომლითაც კრემლი ჯავახეთს წაგვართმევს

რუსუდან შელია
557-100-768

რუსეთის ფედერაცია საქართველოში, შვეიცარიის საელჩოს დახმარებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონისა და, საერთოდ, საქართველოს რუსულენოვან მოსახლეობაზე რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელ მოწმობებს გამარტივებული წესით გასცემს. ექსპერტების ნაწილი ფიქრობს, რომ ყირიმის შემდეგ, რუსეთის მთავარი სამიზნე საქართველო იქნება ანუ კრემლი სომხეთ-საქართველოს კონფლიქტის გაღვივებას შეეცდება. სწორედ ამას ემსახურება ჯავახელი სომხებისთვის რუსული პასპორტების დარიგება. ვითარებამ კრიტიკულ ზღვარს, შესაძლოა, ზაფხულში, მას შემდეგ მიაღწიოს, რაც საქართველო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოაწერს. ჯავახელი სომხები, რომლებსაც რუსული პასპორტები ექნებათ, ევროკავშირის საწინააღმდეგო აქციებს დაიწყებენ. „ვერსიის“ ინფორმატორები ეჭვობენ, რომ ამ აქციებს, შესაძლოა, სისხლიანი პროვოკაციები მოჰყვეს, რაც რუსეთისთვის საბაბი იქნება, საკუთარი მოქალაქეების დაცვის მიზნით, ჯავახეთში არმია შეიყვანოს და ამ კონფლიქტში სომხური ჯარიც ჩართოს. სხვათა შორის, ეს ახალი სცენარი არ არის და, როგორც კავკასიის საკითხების ექსპერტი მამუკა არეშიძე ამბობს, ჯავახეთში რუსული პასპორტები 2006 წლიდან რიგდება.

სისხლიანი პროვოკაცია გარუსებული სომხების დასაცავად

— ჯავახეთის მოქალაქეები, განცხადების საფუძველზე, საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ამბობდნენ, შემდეგ ერევანში ჩადიოდნენ და რუსულ პასპორტს საელჩოში იღებდნენ. მოგვიანებით, საქართველოში ბრუნდებოდნენ და საქართველოს მოქალაქეობაზე განცხადებას ავსებდნენ. სხვათა შორის, ამ სქემაზე ბევრი ხელსაც ითბობდა — რუსული პასპორტი სამი ათასი დოლარი ღირდა.

— **ამის შესახებ მაშინდელი ხელისუფლება ინფორმირებული იყო ან რუსულ პასპორტის მქონე პირები საქართველოს მოქალაქეობის მიღებას რატომღა ცდილობდნენ?**

— ამაზე პასუხი არ მაქვს... ეს კითხვა მეც გამიჩნდა, მაგრამ ვერავინ მიპასუხა. წარმოიდგინეთ, 2006 წელს, მხოლოდ ორი თვის განმავლობაში, ჯავახეთის რუსული პასპორტი 170-მა ადამიანმა აიღო. ამის შესახებ იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთმა პატიოსანმა თანამშრომელმა შემატყობინა, რომელიც სამსახურიდან გაათავისუფლეს. პარალელურად, რუსეთში ამუშავდა სისტემა, რომელსაც „თანამემამულეების დახმარება“ ეწოდება. ეს პროგრამა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში მცხოვრები ადამიანების, რომლებსაც რუსეთში ცხოვრების სურვილი აქვთ, დახმარებას გულისხმობს. როგორც რუსეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, ეს პროცესი რუსეთის ტერიტორიაზე დემოგრაფიული კატასტროფის შესამცირებლად მიმდინარეობდა.

— **დღეს რუსეთის ხელისუფლება უფრო ღიად მოქმედებს და რუსული პასპორტების მისაღებად სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ბევრად გამარტივებულ პროცედურებს სთავაზობს — მაგალითად, რუსულ პასპორტებს საბჭოთა სამხედრო ბილეთის სანაცვლოდაც გასცემს. რა პროვოკაციას ამზადებს კრემლი საქართველოს წინააღმდეგ?**

— ჩემი ინფორმაციით, რუსული პასპორტის მისაღებად აუცილებელი პირობა რუსული ენის ცოდნაა. ბუნებრივია, ამ ფონზე ყირიმის მოვლენების საქართველოში გამეორების ალბათობა არსებობს, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყირიმში რუსეთთან მიერთების სურვილი საკმაოდ დიდი იყო, საქართველოში კი, მსგავსი განწყობა სუსტია. იგივე შემიძლია ვთქვა კონკრეტულად ჯავახეთზეც.

— **რუსეთი საქართველოსა და სომხეთს შორის ურთიერთობის დაძაბვას არ შეეცდება? გაჩნდა ვერსია, რომ სომხეთის პრემიერმა ამ სცენარში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და თანამდებობიდან ამიტომაც გადადგა...**

— ამ მიმართულებით კონკრეტული ინფორმაცია არ მაქვს. ყველაფერია შესაძლებელი, თუმცა ვფიქრობ, სომხეთის პრემიერის თანამდებობიდან გადადგომა ევროკავშირთან სომხეთის ურთიერთობის საკითხს უკავშირდება.

— **ჯავახეთში რუსული პასპორტების დარიგების კონტექსტში რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენის, ვინმე ტევონიანის გვარმა გაიჟღერა, რომელიც ჯავახეთში ავტორიტეტით სარგებლობს და მოსკოვში რეგიონიდან ჩასულ ე.წ. შრომით მიგრანტებს ასაქმებს...**

— ტევონიანის უკან რუსეთში მოღვაწე კანონიერი ქურდი, მეტსახელად ნორიკა დგას, რომელსაც ჯავახეთში საკმაოდ სერიოზული გავლენა აქვს. ტევონიანი სწორედ მისი წარმომადგენელია, თუმცა თავად ნორიკაც საქართველოში რამდენჯერმე იმყოფებოდა. მას საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვანო მერაბიშვილთან და ბათუმში მისი პირადი სტუმარიც იყო. ჩემი ინფორმაციით, ვანო მერაბიშვილმა მას ჯავახეთში გაზმომარაგების საკითხები ჩააბარა. ტევონიანის გააქტიურება ნაციონალურ მოძრაობას რეგიონში, შესაძლოა, არეულობისთვის სჭირდება.

— **ჯავახეთში პასპორტიზაციასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის რა კავშირია?**

— ვიცით, რომ ნაციონალური მოძრაობა მოახლოებული არჩევნების კონტექსტში გარკვეული ექსცესებისთვის ემზადება. ნაციონალებმა კარგად იციან, რომ არჩევნებში სასურველ შედეგს ვერ მიიღებენ, ამიტომ ქვეყანაში დაძაბული ფონი სჭირდებათ. მათი მიზანია, დაძაბულობის ფონზე, ხელისუფლებას ევროკავშირთან ურთიერთობა გაუჭირდეს, ან ქვეყანაში შიდაარეულობის პროცესი დაიწყოს. სხვათა შორის, სააკაშვილმა სწორი პიარსვლა განახორციელა, როცა თანაგუნდელებს მიმართა 17 მაისის ღონისძიებასა და, ზოგადად, მასობრივი მიტინგების მხარდაჭერისგან თავი შეიკავეთო. ამით იმის თქმის უფლება დაიბევა, რომ საქართველოში არეულობის წინააღმდეგია, შესაბამისად, მოსალოდნელი ექსცესები ხელისუფლებას დაბრალდება.

— **ექსპრეზიდენტმა ჯავახეთში მოსალოდნელ საფრთხეებზეც ისაუბრა და ჩახალიანიც ახსენა. რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მოსალოდნელ პროვოკაციებზე ამერიკული დაზვერვაც ღიად საუბრობს...**

— საქართველოს წინააღმდეგ მოსალოდნელ პროვოკაციებსა და აგრესიაზე საუბარს არც სააკაშვილი სჭირდება და არც ამერიკული დაზვერვა, ამას მოვლენათა განვითარების ლოგიკაც გვკარნახობს. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ: თუ რუსეთმა, ყირიმის მოვლენების შემდეგ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გეგმის განხორციელება შეძლო, საქართველოს საკითხიც იგივე მეთოდით „მოგვარდება“. ეს წელი ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით რთულია — ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი უნდა მოვაწეროთ, სექტემბერში კი მაპ-ის საკითხიც უნდა გადაწყდეს. შესაძლოა, რუსეთმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება დათმოს, მაგრამ საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭებას არ დაუშვებს!

— **რუსეთის მხრიდან, პრაქტიკულად, ღიად გაცხადებული ომის ფონზე, დასავლეთში საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭების მყარი პოზიცია რატომ ვერ ჩამოყალიბდა?**

— დიახ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით დასავლეთში მყარო და ერთიანი პოზიცია არ არსებობს. გერმანიის ხელმძღვანელობას ამ საქმეში მონაწილეობა იმდენად არ უნდა, გერმანიის ელჩი საქართველოში ღიად ამბობს, საქართველოს სურვილისთვის ომს არავინ დაიწყებსო. საქართველოს ნატო-ში განევრიანება საქართველოსა და მისი ზოგიერთი პარტნიორის სურვილია და ამ სურვილის დაცვას მხოლოდ საქართველო ვერ მოახერხებს. ჩემთვის უცნობია, საქართველოს ხელისუფლება ამ მიმართულებით რა ღონისძიებებს მიმართავს, მაგრამ რუსეთიდან სერიოზული ხიფათის იმპულსები უკვე მოდის, რომელსაც ლიკვიდაცია სჭირდება. ჩემი აზრით, დროებით პაუზა უნდა ავიღოთ და მოვლენების განვითარებას დავაკვირდეთ, რათა დანარჩენმა მსოფლიომ რუსეთს უკანდახევა აიძულოს. გრძელვადიან პერსპექტივაში, რუსეთი დამარცხებულია და ყირიმის მოვლენები არ შერჩება.

— **რას ნიშნავს „პაუზის აღება“ — მაპ-ზე უარი ვთქვათ?**

— მაპ-ზე უარის თქმა არასწორი იქნება, რადგან უკანასკნელ სავაჭრო თემაზე უარს ვიტყვით, მაგრამ ვითარებიდან გამომდინარე, ამ პროცესის გადადება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვლენათა განვითარება გვიკარნახებს. როცა ნატო-ს ერთ-ერთი მთავარი წევრი სახელმწიფო ამბობს, საქართველო ნატო-ს გზაზე არ დგასო, შესაძლებელია, კვლავ ბუდაპეშტის სამიტის მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ.

— **და ამჯერად აშშ-მ დაბლოკოს საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება?**

— რა თქმა უნდა, ობამას განცხადება რუსეთის დასაწყნარებლადაც იყო მიმართული, მაგრამ მეორე მხრივ, მართლაც, უცნობია, ევროპელები როგორ მოიქცევიან... ამიტომ ვამბობ, პროცესების მონიტორინგი მაღალ დონეზე უნდა მოხერხდეს, რათა ერთი მხრივ, რუსეთთან უმძიმეს მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ, მეორე მხრივ კი ვერაფერი მივიღოთ.

ვერსიანიუსი

დიმიტრი მედვედევი უკრაინას ეკონომიკური სანქციებით ემუქრება

რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის განცხადებით, უკრაინის დსთ-დან გასვლისა და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, რუსეთი თავის აგრარული ბაზრის დაცვისთვის მკაცრ ზომებს მიიღებს, — ამის შესახებ მედვედევმა ვოლგოგრადში, „ედინაია როსიას“ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„თუ ჩვენი უკრაინელი პარტნიორები ან გავლენ დსთ-დან, ან ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოაწერენ ხელს, როგორც უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლება გეგმავს, მოგვიწვეს, გადავხედოთ აგრარულ სფეროში თანამშრომლობის პირობებს და მივიღოთ ზომები რუსეთის აგრარული ბაზრის დასაცავად. ეს მკაცრი გადაწყვეტილება იქნება, მაგრამ ამის გაკეთება მოგვიწევს“, — აღნიშნა მედვედევმა და დასძინა, რომ ეს ზომები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში იქნება მიღებული.

„ინტერპრესნიუსი“

რას მოგვიტანს ნატო-ს სექტემბრის სამიტი

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ნატო-ს სექტემბრის სამიტიდან საქართველოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას ელის; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით კი, ნატო ერთსულოვანია, რომ საქართველოსთვის არ იქნება საკმარისი ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების გამეორება: „გვაქვს გარკვეული მოლოდინი, რომ ნატო-ს სამიტზე საქართველოს მიერ განხორციელებული კონტრიბუცია და დემოკრატიის კონსოლიდირების მიზნით გადადგმული ნაბიჯები, ალიანსის წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებით, შესაბამისად შეფასდება... მკაფიოდ გაცხადდა, რომ პროგრესის ანგარიშის მომზადება ასპირანტი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის ივნისამდე გაგრძელდება, ივნისში მინისტერიალზე კი მოხდება პროგრესის ანგარიშის განხილვა, სადაც მაღალი ალბათობით, მიიღება გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა იქნება შემდგომი, პრინციპულად ახალი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციამდე მიიყვანს“. ქართული პოლიტიკის ვეტერანი, „სახალხო ფრონტის“ ლიდერი ნოდარ ნათაძე იმედოვნებს, რომ ნატო-ს უელსის სამიტზე ალიანსში გაწევრიანების სამოქმედო პროგრამას — მაპ-ს მოგვცემენ, რადგან რუსეთის მოთოკვის პოლიტიკა აქტიურად მიმდინარეობს:

რატომ ეწინააღმდეგება გერმანია საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას და როგორ ჩაშალა სააკაშვილმა 2008 წელს მაპ-ის მონიჭება

— რუსეთი ძალიან უგნურად იქცევა და დასავლეთს რეალური ამოცანა აქვს, კრემლს აზღვევინოს, ტონი დააწევინოს, ამიტომ რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესია დაშვებული არ იქნება. იდეოლოგიური მომზადება დამთავრებულია, ალბათ წელს ან გაისად შავი ზღვა რუსულ-თურქული ტბის სტატუსისგან გათავისუფლდება და ისეთივე თავისუფალი, ღია იქნება, როგორიც ატლანტიკის, წყნარი და ინდოეთის ოკეანეებია. ბუნებრივია, ევოლუციის ამ გზაზე საქართველო იურიდიულად მაქსიმალურად უნდა დაუახლოვდეს დასავლეთის სტრუქტურებს, როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედროსთან, მათ შორის, მაპ-ის მონიჭების თვალსაზრისითაც. ისე, მაპ-ი ჯერ კიდევ 2008 წლის დასაწყისში, ბუქარესტის სამიტზე უნდა მიგვეღო, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილმა ჩაშალა — არაფრის გამო, ყოვლად დაუსაბუთებელი დარბევა მოაწყო 2007 წლის 7 ნოემბერს და ამით ნატო-ში ჩვენი მიღების მოწინააღმდეგეებს ურყევი საბუთი მისცა — ესენი კაციჭამიები არიან, საკუთარ მოქალაქეებს მხუთავი აირით წამლავენ, ველურებივით იქცევიან და ევროპაში, ნატო-ში რა ესაქმებათო. ინფორმაციამ, რომ კვლავ კაციჭამიების რანგში გავდივართ, ბუქარესტის იმ ცნობილ სამიტზე კულუარული განწყობა განაპირობა, კულუარული განწყობა კი, თავის მხრივ, ღია კათედრის განწყობას განაპირობებს ხოლმე, ამიტომ ბუქარესტში მაპ-ი ვერ მივიღეთ.

ამასთან, გერმანიას არ სურდა ნატო-ს რიგებში ჩვენი შეშვება. ბერლინს უნდა, გერმანული ჭკუისა და რუსული რესურსების ტანდემი ისე გაგრძელდეს, როგორც პეტრე პირველიდან ნიკოლოზ მეორემდე და ცოტა ხანს სტალინისა და რიბენტროპის დროს იყო. ამ ფონზე, სააკაშვილმა რუსული დავალება შეასრულა... ივანიშვილის ხელისუფლებაც ნაცად გზას ადგას და იმავეს აკეთებს ანუ საკუთარი პრესტიჟის ხარჯზე, საქართველოს საქმეს აფუჭებს. მთავრობას საკუთარი ხელით ისეთი სახელმწიფოს იმიჯის შექმნა სურს, რომელიც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ბარბაროსულად თავს ესხმის — ამიტომაა სააკაშვილის წინააღმდეგ ამდენი საქმე აღძრული. ერთია, რომ სააკაშვილის დასჯა საჭიროა, მაგრამ ამას კარიკატურულ ფორმას აძლევენ და ვითარების მარილი სწორედ ამაშია — 10 დანაშაულის გამო სასამართლოში ერთ დღეს რომ იბარებენ, ეს, რასაკვირველია, კარიკატურაა და სამართალთან საერთო არაფერი აქვს — 10 სხვადასხვა საქმის ძიება ერთსა და იმავე დღეს როგორ ხდება და მოწმედ ყოფილ პრეზიდენტს საჭიროებს? ეს ნატო-ს გზაზე საფრთხეს არ გამორიცხავს...

აღმოსავლეთისკენ დასავლეთის გააქტიურება მიმდინარეობს და აქ მნიშვნელოვანი როლი, შესაბამისად, მეტი დივიდენდი იქითა კონტინენტს ანუ ამერიკას აქვს, ევროპა კი არ არის დაინტერესებული, ეს წინსვლა სწრაფი და აქტიური იყოს — ნატო-ში ჩვენი გაწევრიანებით ხეირი, პოლიტიკური მოგება ცოტა ექნება, უღელში შებმულ მეორე ხარს კი, აშშ-ს მეტი, რაც ევროპელებს არ უნდათ. გერმანიას, ვიმეორებ, კერძო ინტერესი აქვს – რუსული რესურსებისა და გერმანული ჭკუის ტანდემი; თუ გერმანია ამას ისე განახორციელებს, როგორც უნდა, მაშინ საშუალება მიეცემა, თავისუფალი ეკონომიკის სამყაროში, კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, ძალიან წინ წავიდეს“.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

გახდება თუ არა დავით ონოფრიშვილი „ქართული ოცნების“ ზურაბ ადეიშვილი

დიდი აურზაური პარლამენტში — რატომ არ მოსწონს უმცირესობას ფინანსური მონიტორინგის სამსახურის რეორგანიზაცია და ვინ ცდილობს ბიზნესის გაკონტროლებას პრემიერის სახელით

4 აპრილს, საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, დავით ონოფრიშვილის ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტის — „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“ განხილვას დეპუტატებს შორის დაპირისპირება მოჰყვა. დავით ონოფრიშვილის ინიციატივით, საქართველოს ეროვნული ბანკის მმართველობაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „ფინანსური მონიტორინგის სამსახური“ ამიერიდან პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში უნდა გადავიდეს, თუმცა კანონპროექტის თავდაპირველ რედაქციაში აღნიშნული იყო, რომ ეს სამსახური ფინანსთა სამინისტროს მმართველობაში უნდა გადასულიყო. საერთოდ, მნიშვნელობა არ აქვს, „ფინანსური მონიტორინგის სამსახური“ ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იქნება თუ პრემიერის, დამოუკიდებლობის ხარისხს მაინც დაკარგავს, აღმასრულებელ ხელისუფლებას კი ფინანსური ოპერაციების ტოტალური კონტროლის საშუალებას მისცემს.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა, გიორგი კანდელაკმა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და პროკურატურა გააკრიტიკა. პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა მანდატურებს სთხოვა, სხდომათა დარბაზიდან „ქართული ოცნების“ დეპუტატი ფრიდონ საყვარელიძე გაეყვანათ. ვითარება მალევე განიმუხტა, მაგრამ დავით ონოფრიშვილის ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტის განხილვასას დაპირისპირება განახლდა.

ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა, გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რომ ხელისუფლებამ აღნიშნული კანონპროექტი არ უნდა მიიღოს, რადგან, თუკი ფინანსური მონიტორინგის სამსახური, ეროვნული ბანკის ნაცვლად, პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში გადავა, ამით ხელისუფლებას ბიზნესის ტოტალური კონტროლის საშუალება მიეცემა; მისივე თქმით, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროსაც კი, სასამართლოს ნებართვის გარეშე, ფინანსური ოპერაციების კონტროლის საშუალება ერთ უწყებასაც არ ჰქონდა. ვაშაძემ ასევე განაცხადა, რომ დავით ონოფრიშვილის გარდა, ეს კანონპროექტი არც საერთაშორისო ორგანიზაციებს მოსწონთ, არც ბიზნესასოციაციებს და არც ბიზნესმენებს, — **„თუ ხელისუფლება არ დაფიქრდება და ამ ინიციატივაზე უარს არ იტყვის, ეს ინვესტორებისთვისაც ცუდი სიგნალი იქნება, რადგან არც ერთი ინვესტორი არ მოინდომებს ფულის ჩადებას ქვეყანაში, სადაც ნებისმიერ საბანკო გადარიცხვას, დამოუკიდებელი უწყების ნაცვლად, პრემიერ-მინისტრის ქვემდებარე სტრუქტურა აკონტროლებს“,** — ამტკიცებდა ვაშაძე.

მას შემდეგ, რაც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, დავით ონოფრიშვილმა საკანონმდებლო ორგანოში კანონპროექტი წარადგინა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევარებმა გამოაქვეყნეს სტატია, რომელიც ხელისუფლებას მოუწოდებდა, ფინანსური მონიტორინგის სამსახური ეროვნული ბანკის მმართველობაში დაეტოვებინა. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მკვლევარების შეფასებით, დავით ონოფრიშვილის ინიციატივა ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ფუნქციების შეზღუდვასა და მისი სტატუსის დაქვეითებას გამოიწვევს, არადა, თავის დროზე, ეს სამსახური იმიტომ შეიქმნა, რომ ტერორიზმის დაფინანსება და ფულის გათეთრება აღკვეთილიყო. ეროვნული ბანკის ქოლგის ქვეშ კი იმიტომ მოიაზრებოდა, რომ ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები საბანკო საიდუმლოებაზე დაშვებას გულისხმობს, რაც არ შეიძლება, ფინანსთა სამინისტროსა და პრემიერ-მინისტრს ჰქონდეს.

საერთოდ, საბანკო ოპერაციებზე წვდომა თუ ფინანსური ტრანზაქციების კონტროლი ნებისმიერი ხელისუფლების დაუოკებელი სურვილი და უდიდესი ცდუნებაა. სხვათა შორის, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სახელისუფლებო კონტროლი არც „ქართული ოცნებისა“ და, მით უმეტეს, არც დავით ონოფრიშვილის „ნოუ ჰაუ“ არაა. ასეთი სურვილი და ცდუნება ჯერ კიდევ მაშინ არსებობდა, როდესაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე იყო. სწორედ გოცირიძის დამსახურებაა, რომ ზურაბ ადეიშვილს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და ფინანსური მონიტორინგის სამსახური ეროვნული ბანკის შემადგენლობაში, დამოუკიდებელ სტრუქტურად დარჩა. რომან გოცირიძე ის ფიგურა ნამდვილად არ იყო, რომელსაც ადვილად გაუბედავდნენ და, თანხების ტოტალური კონტროლის მიზნით, ისეთ გადაწყვეტილებას მიაღებინებდნენ, რაც სახელისუფლებო ვერტიკალში მოკალათებულ პირებს ხელ-ფეხს გაუხსნიდა...

კანონპროექტის განმარტებით ბარათში წერია, რომ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის რეორგანიზაციის მიზანი ამ სამსახურის ქმედითუნარიანობისა და ეფექტურობის გაზრდაა. გაუგებარია, როგორ გაიზრდება პრემიერ-მინისტრის აპარატსდაქვემდებარებული უწყების ეფექტურობა მაშინ, როდესაც ამ სამსახურის უფროსი პრემიერმა უნდა დანიშნოს?

იმ პირობებში, როდესაც 5 000 ლარზე მეტის გადარიცხვის შემთხვევაში, საბანკო ანგარიში ისედაც კონტროლზე ადის, რა საჭიროა უწყების რეორგანიზაცია, თუნდაც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების მოტივით? ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ეს ფუნქციები ისედაც აქვს და რა რეალური მოტივაცია ან არგუმენტი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ ეროვნული ბანკის მმართველობაში არსებული, დამოუკიდებელი სტრუქტურა ამ ფუნქციებს ვერ ასრულებს? ამიტომაც ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა შირმაა, სინამდვილეში კი, მავანთ პრემიერ-მინისტრის სახელით, ბიზნესისა და საბანკო ტრანზაქციების ტოტალური გაკონტროლება სურთ.

კანონპროექტის ინიციატორი დავით ონოფრიშვილი ამგვარ შეფასებას აბსურდს უწოდებს. მისი თქმით, ბიზნესის ტოტალური კონტროლი ნაციონალური მოძრაობის ხელწერაა, რადგან ორიოდე წლის წინ, სწორედ აუდიტის სახელმწიფო სამსახურის საშუალებით, ნაციონალურმა ხელისუფლებამ ქართუ ბანკი გააკოტრა და „ქართული ოცნების“ შემომწირველების ქონება დააყადაღა. ონოფრიშვილის თქმითვე, თავის დროზე, ფინანსური მონიტორინგის სამსახური ზურაბ ადეიშვილმა ჩამოაყალიბა და აქედან გამომდინარე, მის დამოუკიდებლობასა და ნეიტრალიტეტში ეჭვი ეპარება. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია: „ქართული ოცნება“, დავით ონოფრიშვილის ხელით, დღეს იმას აკეთებს, რაც თავის დროზე, ზურაბ ადეიშვილმაც კი ვერ მოახერხა.

დაკანონებული საბიუჯეტო მაფია

ვინ უნიშნავს სახელმწიფო შპს-ებისა და სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელებს შოკისმომგვრელ ჯამაგირს და რას ითხოვს პრემიერი ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებისგან

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) იმ სააქციო საზოგადოებებისა და შპს-ების ხელმძღვანელების შემოსავლები გამოაქვეყნა, რომლებიც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა. კვლვის მიხედვით, „საქართველოს საპარტნიორო ფონდისა“ და ამავე ფონდის შვილობილი კომპანია „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ხელმძღვანელებს ყველაზე მაღალი ხელფასები აქვთ. წლის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც მთავრობამ არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები გაითვალისწინა და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები განახორციელა, ქონებრივი დეკლარაციების წარდგენა იმ საწარმოების ხელმძღვანელებსაც დაევალა, რომლებიც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა და რომელთა წლიური ბრუნვაც 100 000 ლარზე მეტია.

ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტის (IDFI) კვლევა მარტში გამოქვეყნდა, თებერვლის დასაწყისში კი სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაინტერესდა, რატომ აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა (სსიპ) და სახელმწიფო შპს-ების ხელმძღვანელთა დიდ ნაწილს არარეალურად მაღალი ანაზღაურება. ოფიციალური ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრმა ამ კითხვაზე პასუხი ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებისგან მოითხოვა... IDFI-ის კვლევით, 2014 წლის მარტის მდგომარეობით, სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი კოვზანაძემ, თანამდებობრივი სარგოს სახით, ყველაზე მეტი ანაზღაურება — 323 250 ლარი მიიღო; შედარებით ნაკლები — 218 329 ლარი, ს/ს „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, სულხან ზუმბურიძის შემოსავალია. „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა, მამუკა ბახტაძემ 194 925 ლარის შემოსავალი დააფიქსირა, მანვე 46 409-ლარიანი ანაზღაურება იმ დროს მიიღო, როდესაც შპს „ჯორჯია ტრანზიტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო; ს/ს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის ანაზღაურება 118 606 ლარი იყო, ს/ს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ გენერალური დირექტორის, დავით თვალაბეიშვილისა 25 000 ლარი, მანვე 115 500-ლარიანი შემოსავალი მაშინ მიიღო, როდესაც ს/ს „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მრჩევლად მუშაობდა, ხოლო 44 400 ლარი — შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალური დირექტორის მრჩევლის პოსტზე; ს/ს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის, გიორგი ბეჟუაშვილის შემოსავალი 84 625 ლარი იყო.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს-ების ხელმძღვანელების შემოსავლებიც არანაკლებ შთამბეჭდავია. მაგალითად, 2013 წელს, შპს „ბათუმის აეროპორტის“ დირექტორის, მეთე ერქალის ანაზღაურება 379 915 ლარი იყო; შპს „ბათუმის აეროპორტის“ დირექტორმა, ჰასანტარიქოს მანაღაოღლუმ შარშან 234 880 ლარი მიიღო; შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგურის“ ხელმძღვანელის, ირაკლი ცივაძის ანაზღაურება 155 036 ლარი იყო; შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხელმძღვანელმა, არჩილ ცაბუტაშვილმა 142 499 ლარი მიიღო; შპს „ბათუმის აეროპორტის მენეჯერმა, მერთ ქანდიელმა 120 572, შპს „ენერგოტრანსის“ ხელმძღვანელმა კახა სეხნიაშვილმა 112 000 ლარი მიიღო, შპს „საქართველოს ფოსტის“ ხელმძღვანელმა, ლევან ჩიკვაიძემ 35 966, მანვე 66 573 ლარის შემოსავალი საქართველოს ლატარიის კომპანიის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მუშაობისას მიიღო; შპს „ბათუმის აეროპორტის“ დირექტორმა, თამაზ ანდღულაძემ — 98 421 ლარი; „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა, მამუკა კობახიძემ 96 000, შპს „საქაერონავიგაციის“ გენერალურმა დირექტორმა, გოჩა მეზვრიშვილმა 89 733 ლარი; შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა, ლევან კოპლატაძემ 83 200 ლარი, შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან მებონიამ 80 600 ლარი.

IDFI-ის მკვლევარების განცხადებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს-ებისა და სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელთა ანაზღაურება პირველად გახდა ხელმისაწვდომი. თანამდებობის პირების ჩამონათვალის გაფართოება წინგადადგმული ნაბიჯია ხელისუფლების ღიაობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით, რაც კორუფციასა და ინტერესთა შეუთავსებლობასთან ბრძოლის კონტექსტში, საკმაოდ მნიშვნელოვანია. საზოგადოებას საშუალება ეძლევა, გადაამოწმოს სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელი მენეჯმენტის ქონებრივი მდგომარეობა, შეაფასოს მათი შემოსავლების პროპორციულობა საწარმოთა მასშტაბებსა და წარმატებულ საქმიანობასთან.

არის თუ არა კანონით განსაზღვრული, რა რაოდენობის ხელფასი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს-ს ან სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელს? მაშინ, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის შემოსავალი 5 000 ლარს არ აღემატება, რამდენად ლოგიკურია, „საპარტნიორო ფონდის“ ხელმძღვანელს 300 000-ლარიანი ანაზღაურება ჰქონდეს? როგორ და რა მექანიზმებით უნდა დაარეგულიროს სახელმწიფომ ეს პრობლემა? „ვერსიას“ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, **გიორგი კლდიაშვილი** ესაუბრება.

— სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს-ს ან სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელის ანაზღაურება კომპანიის შიდაწესდებით განისაზღვრება — კომპანიის გამგეობა ან შიდა ბრძანება ადგენს. სხვათა შორის, არ გვაქვს ინფორმაცია, ამ ტიპის სტრუქტურების ხელმძღვანელებს ადრე რა რაოდენობის ხელფასი ჰქონდათ. კიდევ კარგი, მოვახერხეთ და ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმის რეკომენდაციებში ჩავწერეთ, რომ თანამდებობის პირებს, რომლებსაც ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნება ევალებათ, სახელმწიფოს კუთვნილი არაკომერციული იურიდიული პირების, ასევე შპს-ებისა და სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელებიც დამატებოდნენ. მთავრობამ ჩვენი რეკომენდაცია გაითვალისწინა და შესაბამისად, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონში ცვლილება შევიდა... ქონებრივ დეკლარაციებს იმ შპს-ებისა და სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელები ავსებენ, რომელთა ბრუნვა 100 000 ლარზე მეტია, თორემ ისეთი კომპანიებიც არსებობენ, რომლებსაც ამხელა ბრუნვა არ აქვთ. სამწუხაროდ, არ ვიცით, რა რაოდენობის ხელფასს იღებენ იმ სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელები, რომელთა ბრუნვა 100 000 ლარზე ნაკლებია, რადგან კანონის მიხედვით, მათ ქონებრივი დეკლარაციების წარდგენა არ ევალებათ.

— სახელმწიფომ როგორ გააკონტროლოს, ან რა უნდა გააკეთოს, რომ სახელმწიფო შპს-ებისა და სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელთა ანაზღაურება შემცირდეს?

— ჯერ უნდა განვსაზღვროთ, რამდენად მიზანშეწონილია, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებობდეს ასეთი კერძო სამართლის სუბიექტები, ამის შემდეგ კი ამ უწყებების ხელმძღვანელთა ხელფასები უნდა დავარეგულიროთ. არ ვიცი, რამდენად შესაძლებელია ამ საკითხის დარეგულირება მთავრობის დადგენილებით ან განკარგულებით, მაგრამ ფაქტია, ეს თემა სხვა სამართლებრივ ჭრილში უნდა განვიხილოთ. რაც შეეხება სახელმწიფო ჩინოვნიკების, მინისტრებისა თუ პრემიერ-მინისტრის შემოსავლების სიმცირეს, განსხვავება ისაა, რომ საჯარო დაწესებულება მოგებაზე ორიენტირებული არ არის და არც უნდა იყოს. შპს ან სააქციო საზოგადოება, მნიშვნელობა არ აქვს, სახელმწიფოს მიერაა დაფუძნებული თუ არა, კერძო სუბიექტია და შესაბამისად, შემოსავლების მიღებასა და მოგებაზეა ორიენტირებული. სამართლებრივ საკითხებში კომპეტენტური არ ვარ და ვერ გეტყვით, ეს საკითხი კონკრეტულად რომელი იურიდიული დოკუმენტით უნდა განისაზღვროს, მაგრამ მსგავსი რეგულაციების მიღება მთავრობას ხელეწიფება. იმის გამო, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს ან სააქციო საზოგადოება, რეალურად, სახელმწიფოს საკუთრებაა და გამგეობის წევრებიც მთავრობის მიერ წარდგენილი პირები არიან, ამ ტიპის საწარმოების ხელმძღვანელთა ანაზღაურების ოდენობა მთავრობამ, ამ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრმა უნდა განსაზღვროს.

თიბისი ბანკმა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისთვის ქართულ ბაზარზე პირველი საერთაშორისო ჯილდო მიიღო

მსოფლიოს წამყვანმა ფინანსურმა ჟურნალმა EMEA Finance თიბისი ბანკი 2013 წლის საუკეთესო ბანკად დაასახელა საქართველოში. ამავე ჟურნალმა, თიბისი ბანკი დააჯილდოვა, როგორც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესო კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბანკი 2013 წელს.

თიბისი ბანკი ერთადერთი ქართული კომპანიაა, რომელმაც კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის გამო საერთაშორისო ჯილდო მიიღო. რაც შეეხება საუკეთესო ბანკის წოდებას საქართველოში, ამ ჯილდოს თიბისი ბანკი EMEA Finance-სგან უკვე მესამე წელია იღებს. EMEA Finance მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ფინანსური გამოცემაა, რომელიც იკვლევს ფინანსურ ბაზრებს ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში. EMEA Finance-ს ევროპული საბანკო ჯილდო უკვე 6 წელია არსებობს. წელს თიბისი ბანკი გამარჯვებულად დასახელდა ისეთი მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების გვერდით, როგორებიცაა Barclays, HSBC, Credit Suisse, Raiffeisen Bank International და Citi.

ტიბ ბურკი, EMEA Finance-ს რედაქტორი: „2013 წელი თიბისი ბანკისთვის საკმაოდ წარმატებული იყო. თავის სასესხო პორტფელით მან შეძლო, მნიშვნელოვანი პარტნიორობა გაეწია ლოკალური კომპანიებისა და ბიზნესებისთვის, ასევე თიბისი ბანკმა შეინარჩუნა ლიდერობა საქართველოს საბანკო ბაზარზე საცალო დეპოზიტების თვალსაზრისით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ის ყველაზე სანდო ბანკია საქართველოში. საინტერესოა, რომ თიბისი ბანკი უკვე მესამე წელია იღებს ჩვენგან საქართველოს მასშტაბით საუკეთესო ბანკის წოდებას. გარდა ამისა, ვამაყობთ, რომ დავასახელეთ თიბისი ბანკი საუკეთესო კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბანკად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ვფიქრობ, ამ მიმართულებით თიბისი ბანკი მართლაც გამორჩეულია“.

ვახტანგ ბუცხრიკიძე, თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი: „ჩვენთვის მეტად სასიხარულოა ასეთი პრესტიჟული ჯილდოების მიღება მსოფლიოს წამყვანი ფინანსური გამოცემისგან. განსაკუთრებით საამაყოა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისთვის მიღებული ჯილდო.

მოგეხსენებათ, თიბისი ბანკი წლების განმავლობაში გამოირჩეოდა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით — ნდაარსების დღიდან ხელს უწყობდა საზოგადოებისათვის ღირებული სხვადასხვა კულტურული, სოციალური თუ საგანმანათლებლო პროექტის განხორციელებას.

ის თავადაა დამაარსებელი და ორგანიზატორი საქართველოში ყველაზე ცნობილი და პატივსაცემი ლიტერატურული კონკურსისა „საბა“. მკითხველმა ალბათ იცის, რომ ასევე ხელს ვუწყობთ ელექტრონული წიგნების პოპულარიზაციას საქართველოში; ჩვენს სათავო ოფისში ფუნქციონირებს ორი გალერეა ქართველი არტისტების ხელშესაწყობად და დასახმარებლად; ასევე დავაარსეთ „არტარეა“ — პირველი ქართული ტელევიზია კულტურაზე, რომლის საშუალებითაც ვეხმარებით და მხარში ვუდგავართ ქართველ არტისტებსა და ხელოვნებით დაინტერესებულ ადამიანებს. ამ ყველაფრის გამო მიმაჩნია, რომ თიბისი ბანკი ჯილდოს მისაღებად ღირსეული კანდიდატია და მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო და თავის შრომა ჩადო ამ საინტერესო პროექტების მოფიქრებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში, ეს საერთაშორისო აღიარება კიდევ ერთხელ გვიბიძგებს, გავაგრძელოთ განვითარება და ვიყოთ ლიდერები, როგორც ბიზნესის, ისე სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით“.

რა ელის „ფუდმარტს“

გიორგი იაშვილი

საქალაქო სასამართლოს განჩინებით, სუპერმარკეტების ქსელ „ფუდმარტს“, რომელიც მოლაპარაკებებს ცნობილ ბრენდ „სპართან“ აწარმოებს, საკუთარი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა და გასხვისება აეკრძალა. ეს გადაწყვეტილება ძალაში „პოპულის“ დამფუძნებელთან ბიზნესდავის დასრულებამდე დარჩება. სარჩელის მიხედვით, ქსელის შემქმნელი და ამ დრომდე, 12%-იანი წილის მფლობელი ევგენი ფიჩხაია „ფუდმარტს“ უკანონო გარიგების გამო უჩივის.

სუპერმარკეტების ქსელი „პოპული“ ცოტა ხნის წინ მისი 88% წილის მფლობელმა „იოლმა“ არჩილ გეგენავას „ფუდმარტს“ მიჰყიდა. საინტერესოა, როგორ აისახება ეს გადაწყვეტილება „ფუდმარტის“ ოპერირებაზე. „ფუდმარტის“ გენერალური დირექტორი ირაკლი კასრაძე მედიასთან აცხადებს, რომ ყველა სამართლებრივი დავა, ადრე თუ გვიან, დასრულდება და სიმართლეც გაირკვევა. მისი ინფორმაციითვე, სასამართლომ არა ყადაღა, არამედ აკრძალვა დაადო რეალიზაციასა და იპოთეკით სარგებლობაზე მხოლოდ საზოგადოების მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებას (და არა აქციებს), რომელთა დიდი ნაწილიც ამჟამად არ გამოიყენება საოპერაციო მიზნებისთვის და, შესაბამისად, ვერც საქმიანობის შეფერხების მიზეზი გახდება. კითხვაზე, ხომ არ გახდება სასამართლო აკრძალვა ხელშემშლელი ფაქტორი „ფუდმარტსა“ და ცნობილ ბრენდ „სპარს“ შორის მიმდინარე მოლაპარაკებისას, კასრაძე აცხადებს, რომ მათ შორის მოლაპარაკებები დასკვნით ფაზაშია გადასული, ხელშემშლელი გარემოება არ არსებობს და, ზოგადად, ყადაღა არც შეიძლება გახდეს ამ ტიპის ურთიერთობისთვის ხელშემშლელი.

რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს „პოპულის“ დამფუძნებლის, ევგენი ფიჩხაიას ადვოკატ **ლაშა ნოდიას**, რომელიც ამბობს, რომ „ფუდმარტი“ „პოპულის“ კრედიტორების მძიმე მდგომარეობაში ჩაგდებით სარგებლობს.

— ჩვენი მოთხოვნაა, მოხდეს გარიგების ბათილად ცნობა, ვინაიდან მისი გაფორმების უფლება „პოპულის“ დირექტორს არ ჰქონდა. ჩვენი მიზანია, „პოპულს“ დაუბრუნდეს მისი ქონება, ბიზნესი და მიეცეს საშუალება, ისარგებლოს რეაბილიტაციის შესაძლებლობით, რაც გამჭვირვალეს გახდის პროცესებს და მისცემს კომპანიას კრედიტორების სამართლიანი და თანაბარი პირობებით დაკმაყოფილების საშუალებას.

– რის საფუძველზე ფიქრობთ, რომ გარიგება უკანონოა?

— ესაა გარიგება, რომლის შედეგადაც კომპანია „პოპულის“ დამფუძნებელ ევგენი ფიჩხაიასა და „პოპულის“ კრედიტორებს შერჩათ უაქტივო და ვალებით დატვირთული კომპანია. „პოპულის“ კრედიტორების მძიმე მდგომარეობაში ჩაგდებით სარგებლობს „ფუდმარტი“ (რეალურად, „პოპულის“ ძირითადი აქციონერი) მათგან მოთხოვნების მნიშვნელოვანი დისკონტით შესასყიდად.

— იყო თუ არა „პოპულის“ მესაკუთრე ევგენი ფიჩხაია ამ ბიზნესგარიგების საქმის კურსში?

— ევგენი ფიჩხაია ამ გარიგების საქმის კურსში არ ყოფილა. „პოპულის“ ძირითადმა აქციონერმა, აქციათა პაკეტის შესყიდვის საფუძველზე, ევგენი ფიჩხაიას 2012 წლის ბოლოს გაუკეთა სავალდებულო სატენდერო შეთავაზება, რომლის მიხედვითაც, აუდიტორს უნდა შეეფასებინა „პოპულის“ აქციათა საბაზრო ღირებულება და „იოლი სუპერმარკეტების“ ქსელს ევგენი ფიჩხაიასთვის ეს თანხა უნდა შეეთავაზებინა, თუმცა სავალდებულო სატენდერო შეთავაზება არ დასრულებულა. ბუნებრივია, ამ პირობებში ევგენი ფიჩხაია ვერც წარმოიდგენდა, რომ აქციონერთა კრების გარეშე, მხოლოდ ერთი აქციონერის გადაწყვეტილებით, რომელსაც კანონის შესაბამისად, სატენდერო შეთავაზების დასრულებამდე არ აქვს 50%-ზე მეტი ხმა, მიიღებდა გადაწყვეტილებას მთელი აქტივების გასხვისების თაობაზე.

ეს ყველაფერი სარჩელშიც ავსახეთ. აქვეა კიდევ რამდენიმე დეტალი: მაგალითად, ის, რომ „პოპულის“ აქტივების „ფუდმარტისთვის“ გადაცემის დოკუმენტს ორივე მხრიდან ხელს აწერენ „ფუდმარტის“ დირექტორები და „პოპულმა“ აქტივების გასხვისების თაობაზე გადაწყვეტილება საკუთარ აქციონერთა კრების თანხმობის გარეშე მიიღო. ასევე მნიშვნელოვანია, „პოპულმა“ აქტივების გასხვისება მოახდინა მაშინ, როცა სახეზე იყო კომპანიის გადახდისუუნარობა, ამ აქტივების გასხვისებას კი ვალის სრულად გასტუმრება არ მოჰყვა. შესაბამისად, ამ საქმით, შესაძლოა, პროკურატურაც დაინტერესდეს, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია ასეთი ქმედების მაკვალიფიცირებელი რამდენიმე მუხლი.

არჩილ გეგენავა „ფუდმარტის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენებზე კომენტარს ამ დრომდე არ აკეთებს. ფიჩხაიას ადვოკატი ლაშა ნოდია კი კითხვაზე, აქვთ თუ არა კომუნიკაცია „ფუდმარტის“ დამფუძნებლებთან ან კონკრეტულად, არჩილ გეგენავასა თუ მის ადვოკატებთან, პასუხობს, რომ მსგავსი კომუნიკაცია დღემდე არ არსებობს.

„ოცნებაში“ პორტირებული ნაციონალები დედაპარტიას უბრუნდებიან

რა საიდუმლო დავალება მიიღეს ექსნაციონალებმა და რატომ გაუძვირეს გარდაბნის მოსახლეობას ნაგვის გადასახადი

გიორგი იაშვილი

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად, რეგიონების მოსახლეობა აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები, რომლებიც თვითმმართველობებში უმრავლესობას წარმოადგენენ, საოცარ გადაწყვეტილებებს იღებენ და წყალს ყოფილი ხელისუფლების წისქვილზე ასხამენ. როგორი მიდგომაა საქმისადმი დედაქალაქში, თავადაც ხედავთ და არავინ მალავს, რომ ეს არჩევნები საპრეზიდენტოზე ბევრად რთული იქნება.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის დამარცხების შემდეგ, არაერთ საკრებულოში ნაციონალური მოძრაობის წევრებმა პარტია დატოვეს და „ქართული ოცნების“ მანტია მოირგეს, თუმცა ახლა ირკვევა, რომ ყველაფერი ეს მოჩვენებითი იყო. მათ იმედი ჰქონდათ, ახალ არჩევნებში კენჭს ამჯერად „ოცნების“ სახელით იყრიდნენ და ისევ თვითმმართველობებში დასაქმდებოდნენ, თუმცა...

— კიდევ ერთხელ ვაცხადებ, არც ერთი ნაციონალი, რომელთანაც საზოგადოებაში კითხვები არსებობს, განსაკუთრებით კი ის ადამიანები, რომლებიც იმ სიბინძურეში მონაწილეობდნენ, რასაც ნაციონალური მოძრაობა ახორციელებდა კოალიციისა და ჩვენი მხარდამჭერების წინააღმდეგ, არ იქნება წარმოდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატად, ამის პირობას მე გაძლევთ, — „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის, ვიცე-პრემიერ კახა კალაძის ამ განცხადების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ყოფილ ნაციონალებს შანსი არ აქვთ. შესაბამისად, ნაციონალურმა მოძრაობამ უძღები შვილების დაბრუნება გადაწყვიტა და მათ სამოქმედო გეგმაც შესთავაზა — ადგილობრივი თვითმმართველობები არჩევნების წინ ისეთ ქმედებებს განახორციელებენ, რომლებიც მოსახლეობაში უკმაყოფილებას გამოიწვევს, საკრებულოს ნაციონალი წევრები კი, რომლებსაც ახლა „ქართული ოცნება“ ჰქვიათ, ხელს ხელისუფლებისკენ გაიშვერენ. ამის განხორციელება უკვე დაიწყო გარდაბნის რაიონში:

გარდაბნის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ონიანი გახლავთ, რომელიც ზედიზედ ორი მოწვევის საკრებულოს წევრია და ორივე შემთხვევაში საკრებულოში ნაციონალური მოძრაობის სიით მოხვდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ონიანმა ნაციონალური მოძრაობა სასწრაფო წესით დატოვა და „ოცნებაში“ გადაბარგდა. წინასაარჩევნოდ იგი ჯიუტად ცდილობდა „ქართული ოცნების“ სიის პირველნომრობას და პარალელურად, პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეობაც სურდა, მაგრამ 8 წელი ნაციონალური მოძრაობის „მამალი“ მხარდამჭერი კარგს რომ არაფერს გააკეთებდა, ყველაზე უკეთ თავად იცის და მიუხედავად იმისა, ყველას უმტკიცებდა, ირაკლი ღარიბაშვილი ჩემი ძმის ძმაკაციაო, განზე დარჩა. ამან ონიანი იმდენად გააბრაზა, ძველ მეგობრებს მიაკითხა და უთხრა, თუ უფლებას მომცემთ, კრწანისში კენჭი ნაციონალების სახელით ვიყარო, იმას ვიზამ, რასაც მეტყვითო. ონიანი კრწანისში ცხოვრობს, თავის სოფელი ამ ხნის განმავლობაში, ასე თუ ისე, „ააყვავა“ და წარმატების იმედიც ამიტომ აქვს. ნაციონალებმა ონიანი მარტივად დაიბრუნეს და... საკრებულოს გადაწყვეტილებით, გარდაბნის მოსახლეობას ნაგვის გატანის გადასახადი გაუძვირდა. საკრებულოს ერთპიროვნულმა გადაწყვეტილებამ მოსახლეობა გააღიზიანა, მაგრამ ონიანმა ხელი „ოცნებისკენ“ გაიშვირა, რაც ცენტრიდან დამავალეს, იმას ვაკეთებ და, როგორც ვიცი, არჩევნების შემდეგ გადასახადი უფრო გაძვირდება, დენისა და გაზის ტარიფიც გაიზრდებაო. ყველაფერ ამას კი ინსპექტირებას ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, კრწანისში მცხოვრები ონიანის ბავშვობის მეგობარი, ჯანო დადეშქელიანი უწევს. ონიანის დარად, მანაც ნაციონალების ნავიდან „ოცნებაში“ ისკუპა, მაგრამ ახლა უკან გადახტომა მოუხდა და შურს მოსახლეობაზე იძიებს. სხვათა შორის, დადეშქელიანი მუდმივად ამბობს, არავინ შემეწინააღმდეგოს, თორემ ჩემი ძმა ლევანი „კანონიერი ქურდია“ და ის მოგივლითო. ლევან დადეშქელიანი ე.წ. კანონიერი ქურდების კარტოთეკაში მართლაც ირიცხება, მაგრამ 21-ე საუკუნეში კაცი იმით ამაყობდეს, ძმა ქურდი მყავსო, ცოტა არ იყოს, უცნაურია.

რაც შეეხება ტარიფებს, საკრებულოს ერთპიროვნულად შეუძლია ადგილზე წყლის გადასახადიც გაზარდოს და ამის გაკეთება იგეგმება კიდეც, რათა უკმაყოფილების მუხტმა წინასაარჩევნოდ პიკს მიაღწიოს, რაც მთავარია, იგივე იგეგმება საქართველოს ყველა რეგიონსა თუ რაიონში. ყოფილი ნაციონალები, ახლა ისევ ძველ პარტიას რომ უბრუნდებიან, მაქსიმალურად შეეცდებიან საქმის გაფუჭებას იმ ინფორმაციულ ვაკუუმში, რომელიც რეგიონებში რეალურად არსებობს. ძნელია, ვინმე დააჯერო, რომ ტარიფის გაძვირება „ქართული ოცნების“ ბრალი არ არის. გარდაბნის მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ ყოფილი ხელისუფლება უკან არაფერზე დაიხევს.

სხვათა შორის, როცა ონიანი და დადეშქელიანი მიხვდნენ, რომ „წარსული გმირობის“ გამო, მომავალ საკრებულოში „ქართული ოცნების“ მანდატით მოხვედრის შანსი ამოეწურათ, გადაწყვიტეს, სიაში ოთარ გავაშელიშვილი ჩაესვათ. ეს კაცი, წლების განმავლობაში მათი მარჯვენა ხელი და რაიონში ნაციონალების „გამპრავებელი“ იყო. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, დაჭერას გადარჩა, საბოლოოდ კი, ისევ ონიანმა შეიფარა და საკრებულოში აპარატის უფროსის თანამდებობა უბოძა. გავაშელიშვილმა „რკინის ქალამნები“ ჩაიცვა და „ქართული ოცნების“ ცენტრალური შტაბი შეაწრიალა, თუმცა წინა წლებში ნაკეთები ყველგან დახვდა და ახლა ონიანსა და დადეშქელიანთან ერთად ცდილობს, არარეალური პრემიების გამოწერით, ბიუჯეტს იმაზე მეტი წაგლიჯოს, ვიდრე ამას ადრე აკეთებდნენ. ეს კი ნაციონალურ მოძრაობას აშკარად აწყობს და სამივე მათგანს უკან დასაბრუნებელი კარი ფართოდ გაუღო.

P.S. როგორც წესი, ონიანი უცხო ზარებს არ პასუხობს და მისი კომენტარი ისევ „მიუწვდომელია“, დადეშქელიანმა კი პირადი საქმიდან საკუთარი ფოტოც ამოიღო, არ მინდა, ვინმე სახეზე მცნობდესო და შესაბამისად, მედიასთან საუბარს ისიც გაურბის.

ღარიბაშვილმა საქართველოს მასშტაბით ტურნე დაიწყო

გიორგი იაშვილი

როგორც წესი, საქართველოს რეგიონებში მცხოვრებლები მუდმივად უყურადღებობას უჩივიან და ამბობენ, რომ ხელისუფლების უმაღლეს პირებთან საუბრისა თუ შეხვედრის საშუალება არ ეძლევათ. შესაბამისად, ისინი საკუთარ პრობლემებზე საჯაროდ ვერ საუბრობენ და ამის გამო უკმაყოფილებას არ მალავენ. „კაცი ტელევიზორიდან“ — აი, ვინ სურთ რეგიონებში და ისეთი პირი უჩანს, ამ სურვილს მალე საქართველოს ყველა მაცხოვრებელი აისრულებს — ირაკლი ღარიბაშვილმა, პრემიერ-მინისტრის რანგში, საქართველოს რეგიონებში პირველი ტურნე დაიწყო და ჯერ სამეგრელოს, შემდეგ კი აჭარას ესტუმრა და გარდა იმისა, რომ არაერთი მნიშვნელოვანი ობიექტი გახსნა, ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდა და არსებულ პრობლემებზე პირადად მათგან მოისმინა.

რას დაპირდა პრემიერი მეგრელებსა და აჭარლებს

მოგეხსენებათ, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სენაკის ბრიგადა ერთ-ერთი იყო, რომელმაც დიდი დანაკარგი განიცადა და ამ ბრიგადის ჯარისკაცებმა სამაგალითო ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს. პრემიერი ღარიბაშვილი სენაკის ბაზაზე სტუმრობისას ჯარისკაცებს გაესაუბრა და ყურადღება მათი პირობების გაუმჯობესებაზე გაამახვილა; პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების ღირსების დაცვა და მათი მხარდაჭერა მიაჩნია. არ დაუმალავს, რომ ხელისუფლებას ჯარისკაცებისთვის მეტის გაკეთება სურს და ამ „მეტს“ ისინი მალე იგრძნობენ.

სენაკის შემდეგ, ღარიბაშვილი ანაკლიას სტუმრობდა, სადაც ნაპირსამაგრი სამუშაოები დაათვალიერა და განაცხადა, რომ ახალი გზა საგრძნობლად გაუმჯობესებს ენგურსგაღმა მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების გადაადგილებას. მთავრობა გამყოფი ხაზის გასწვრივ სრულიად ახალ პოლიტიკას ახორციელებს და არა ისეთს, როგორიც წინა ხელისუფლების დროს იყო, მხოლოდ სიტყვებსა და პიარზე დაფუძნებული.

„ენგურსგაღმა მცხოვრებ მოსახლეობაზე ზრუნვა ჩვენი პრიორიტეტია. ამ მიზანს ემსახურება ხურჩის 4-კილომეტრიანი გზა, რომელიც 3000-ზე მეტ ადამიანს გადაადგილების პირობებს გაუუმჯობესებს“, — განაცხადა ღარიბაშვილმა ხურჩის ახლადდაგებული გზის გახსნისას.

წლებია, სამეგრელოს მოსახლეობა რეგიონში მასშტაბური პორტის არარსებობაზე საუბრობს. რეალურად, პორტი ამ რეგიონს განვითარების საშუალებას მისცემდა და, რაც მთავარია, ადგილობრივ მოსახლეობას დასაქმების პრობლემასაც მოუგვარებდა. როგორც ჩანს, ამ თემაზე ხელისუფლება სერიოზულად მუშაობს და ანაკლიაში პორტის მშენებლობაც შორეული პერსპექტივა არაა.

„სამეგრელოში მასშტაბური პორტის არსებობა ნიშნავს ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილების გაჩენას. პროექტი დიდ სარგებელს მოუტანს მთელ ქვეყანას და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში“, — აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

ისე როგორ იქნებოდა, პრემიერისთვის ადგილობრივებს წინასაარჩევნო დაპირებები არ შეეხსენებინათ და აქცენტი საავადმყოფოზე გააკეთეს. თუ გახსოვთ, წინა ხელისუფლების დროს, საქართველოს მასშტაბით, 100 ახალი საავადმყოფოს აშენება დაანონსდა, სადაზღვევო კომპანიებს პატარ-პატარა შენობები ნაჩქარევად გააკეთებინეს და სასწრაფო წესით გახსნეს, რამაც, საბოლოო ჯამში, არ გაამართლა — სრულყოფილი და მაღალი დონის ჯანდაცვა ყველა რეგიონისთვის ხელმისაწვდომი არ იყო. სამეგრელოს მოსახლეობა ვერც კი წარმოიდგენდა, რომ პრემიერი, უახლოეს მომავალში, 220-ადგილიანი მაღალი დონის კლინიკის აშენებას დაპირდებოდა, კლინიკისა, რომელიც თავის მხრივ სასწავლო ცენტრის ფუნქციასაც შეითავსებს.

„ვაღიარებ, სამეგრელოში საავადმყოფოს აშენება კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება იყო. 220-ადგილიანი კლინიკა მოემსახურება როგორც ადგილობრივ მოსახლეობას ისე, — აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პაციენტს და ეს მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება აფხაზეთის მოსახლეობისთვის, რადგან ის სწრაფად მიიღებს კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას. პარალელურად, საუნივერსიტეტო კლინიკა სასწავლო ცენტრის ფუნქციასაც შეასრულებს, სადაც შესაძლებელი იქნება დიპლომის შემდგომი განათლების მიღება და ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ამას გარდა, კლინიკის ტერიტორიაზე სტუდენტების, რეზიდენტების, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მსმენელებისა და აფხაზეთიდან გადმოყვანილი პაციენტების ოჯახის წევრებისთვის სპეციალური, კომფორტული საერთო საცხოვრებლის აშენებაც იგეგმება. მშენებლობაზე, რომელიც მალე დაიწყება, დევნილები დასაქმდებიან, საავადმყოფოს ამოქმედების შემდეგ კი მათი დიდი ნაწილი გადამზადებას გაივლის და კლინიკის ტექნიკური თუ დამხმარე პერსონალის პოზიციაზე იმუშავებს. საინტერესოა, რომ საუნივერსიტეტო კლინიკაში სამედიცინო, ტექნიკური და დამხმარე პერსონალის ჩათვლით, 600-მდე ადამიანი დასაქმდება.

პრემიერ-მინისტრი სამეგრელოს სიამაყეს, დადიანების სასახლესაც ეწვია. წინა ხელისუფლებას სასახლის ფასადი მხოლოდ ბრიფინგებისთვის სჭირდებოდა და სასახლის რესტავრაციაზე თეთრიც არ იხარჯებოდა. პრემიერმა პირობა დადო, რომ უახლოეს მომავალში შემუშავდება სასახლის რესტავრაციის პროექტი.

დევნილთა პრობლემა ყველაზე მეტად სწორედ სამეგრელოში იგრძნობა და სწორედ ამიტომ, ღარიბაშვილმა უშუალოდ მოინახულა ის დასახლებები, სადაც დევნილები მასობრივად ცხოვრობენ. მათ დაიჩივლეს, რომ ახლადაშენებული სახლები არცთუ ხარისხიანადაა აგებული. ღარიბაშვილს ამის შესახებ, როგორც ჩანს, ინფორმაცია ჰქონდა და დევნილების თვალწინ სამშენებლო კომპანია „ბლოკ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას, ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ერთი თვის ვადა მისცა და საინტერესო განცხადებაც გააკეთა:

„ახალი ხელისუფლების პირობებში, 2000 დევნილი ოჯახი ანუ საშუალოდ 8000 ადამიანი, საცხოვრებელი ფართით უკვე დაკმაყოფილდა. მაისში ფართო მასშტაბის მშენებლობა დაიწყება თბილისსა და ქუთაისში, 2015 წელს კი დაიწყება კომპლექსის მშენებლობა ვარკეთილში, არანაკლები მასშტაბის მშენებლობები იგეგმება გორსა და ბათუმში“.

სამეგრელოში პრემიერის ვიზიტის დროს მთავარი, რაღა თქმა უნდა, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა იყო, რომელიც ემოციური და საქმიანი გამოდგა. როგორც სხვა რეგიონების მცხოვრებლები, მეგრელებიც ძირითადად სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ, იმ სამართლიანობისა, რომელსაც ნაციონალური მოძრაობის წევრთა მტკიცებით, თურმე „არავინ ელის და არც აინტერესებს“.

„უდანაშაულო ადამიანებს იტაცებდნენ, აუპატიურებდნენ, დღეს ეს ადამიანები დემოკრატიაზე საუბრობენ და ჭკუას გვარიგებენ, როგორ წარვმართოთ პოლიტიკა? მინდა, ამ ყველაზე დიდ უმცირესობას შევახსენო, ყველა ის ადამიანი, ვინც ამ პოლიტიკას განსაზღვრავდა, უმკაცრესად იქნება დასჯილი“, — პრემიერის ეს სიტყვები ყველაზე მეტად ვის არ ესიამოვნებოდა, თავად განსაჯეთ.

ადგილობრივებმა ღარიბაშვილს ზუგდიდის თეატრის რეაბილიტაციაც სთხოვეს, რისი დავალებაც ინფრასტრუქტურის მინისტრმა, დავით ნარმანიამ ადგილზევე მიიღო.

სამეგრელოშივე გაცხადდა ის, რამაც არამარტო ადგილობრივი, არამედ მთლიანად, საქართველოს საბავშვო ბაღის აღმზრდელები დაინტერესა. პრემიერმა განაცხადა, რომ თამარ სანიკიძის უწყება ამზადებს კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელებს პედაგოგის სტატუსი მიენიჭებათ და შესაბამისად, ჯამაგირიც გაეზრდებათ.

შემდეგ იყო აჭარაში ვიზიტი. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც არამარტო აჭარლებს, არამედ საქართველოს მთელ მოსახლეობას აინტერესებს, ქობულეთის შემოვლითი ჩქაროსნული გზის მშენებლობაა. ამ გზის სამშენებლო სამუშაოების დათვალიერების შემდეგ, პრემიერმა განმარტა, რომ ასეთი გზის არარსებობა, წლების განმავლობაში, დისკომფორტს უქმნიდა როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ტურისტებს და დასძინა, რომ მშენებლობა 2016 წელს დასრულდება. შემოვლითი გზის დასრულებისთანავე გამარტივდება სატრანსპორტო გადაზიდვები, შემცირდება მგზავრობის დრო და გადაადგილება უსაფრთხო გახდება. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, ჩქაროსნული გზის მშენებლობის დასრულების შემდეგ, საქართველოს ექნება სრულიად ახალი ინფრასტრუქტურა, რაც დიდ სარგებელს მოუტანს და იმავდროულად, გაამარტივებს მიმოსვლას მეზობელ თურქეთთან.

პრემიერი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, გიორგი პაპუაშვილსაც შეხვდა და თავად პაპუაშვილმაც არ დამალა, რომ ამ შეხვედრით კმაყოფილი დარჩა. პრემიერმა კი კიდევ ერთხელ აღნიშნა: **„ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი არის თავისუფალი სასამართლო სისტემა, რასაც საქართველოს მოსახლეობა აშკარად გრძნობს“.**

აჭარის რეგიონისთვის საზღვაო აკადემია მუდმივად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა იყო და იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტომ ქართველ მეზღვაურებს ევროკავშირის დროშის ქვეშ მცურავ გემებზე სამსახური აუკრძალა, ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენდა, თუმცა 2013 წლის ნოემბერში, საზღვაო უსაფრთხოების სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება და ქართველი მეზღვაურები ევროკავშირის დროშის ქვეშ მცურავ გემებზე დაბრუნდნენ. პრემიერმა აკადემიის განვითარებისთვის ხელშეწყობის პირობა დადო.

მოსახლეობასთან შეხვედრისას ადგილობრივებმა აქცენტი ნაპირსამაგრ სამუშაოებზე გააკეთეს. ეს პრობლემა სერიოზულად აფერხებს როგორც საგზაო მოძრაობას, ასევე საფრთხეს უქმნის ადგილობრივებს.

„მთავრობამ ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის პირველ ეტაპზე 10 მილიონი ლარი გამოყო. აღდგენილი სანაპირო ზოლი დაგიცავთ სტიქიისგან და მოსალოდნელი ზარალის რისკს მინიმუმამდე შეამცირებს. გპირდებით, რომ სარფის სანაპირო ზოლის აღდგენითი სამუშაოები ზაფხულის სეზონის დაწყებამდე დასრულდება“, — მიმართა პრემიერ-მინისტრმა ადგილობრივებს.

ზაფხულამდე პრემიერ-მინისტრი საქართველოს ყველა რეგიონში ჩავა და თითოეულ ადამიანს ინდივიდუალურად შეეძლება, საკუთარი თუ საზოგადო პრობლემის შესახებ, ირაკლი ღარიბაშვილს პირადად მოახსენოს.

დიდი დეპრესია ქართულ ციხეებში — ნერწყვის ინექცია, „ობშიაკი“ და „მაზავშიკები“

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გატარებული ჯანდაცვის რეფორმის მიუხედავად, არასამთავრობოები ციხის ადმინისტრაციის მხრიდან ავადმყოფ პატიმართა მიმართ გულგრილი დამოკიდებულებით კვლავ აპელირებენ. მართალია, ციხეში, წინა წლებთან შედარებით, სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირდა, მაგრამ უფლებადამცველთა თქმით, ბოლო დროს, ცემის შედეგად გარდაცვალებისა და სუიციდის არაერთი ფაქტი გამოვლინდა; ამავე წყაროს თქმით, პატიმართა უმეტესობა ღრმა დეპრესიაშია, რის გამომწვევადაც ტუბერკულიოზის სამკურნალო პრეპარატები სახელდება. ადვოკატების მტკიცებით, ტუსაღებს არ მიეწოდებათ ანტიდეპრესანტები, შესაბამისად, მიმართავენ თვითდაზიანებას, მაგალითად, ერთმა პატიმარმა ე.წ. ნერწყვის ინექციით სისხლი მოიწამლა, რის გამოც ფეხი მოკვეთეს... თვითმკვლელობის ერთ-ერთი მიზეზად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში „მაზავშიკების“ მომრავლებაც სახელდება. უფლედამცველ ნანა კაკაბაძის განმარტებით, მდგომარეობიდან ერთ-ერთი გამოსავალი გამჭვირვალეობა და დამოუკიდებელი საბჭოს შექმნაა, თუმცა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე ამ მოსაზრებას არ იზიარებს; ამასთან, თალაკვაძე პატიმართა სიკვდილიანობაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს და „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ 2013 წელს სასჯელაღსრულების სისტემაში გარდაცვალების შემთხვევების ისტორიული მინიმუმი დაფიქსირდა.

უფლებადამცველთა ბრალდებებს სუბარის მოადგილე პასუხობს

— წინა წლებში, ძალადობის შედეგად გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობა მაღალი იყო და, წელიწადში, 10-12 შემთხვევა ფიქსირდებოდა. საერთოდ, ძალადობის თითოეულ შემთხვევაზე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა და მიუკერძოებელი გამოძიება ტარდება. 2013 წელს მომხდარი მხოლოდ ერთი შემთხვევის გამო პასუხისგებაში 12 ადამიანი, მათ შორის, თანამდებობის რამდენიმე პირი მიეცა.

— შეიძლება, მაგრამ ადვოკატები ციხეში გახშირებული თვითმკვლელობის ერთ-ერთ მიზეზად „ობშიაკის“ აღდგენასა და „მაზავშიკები“ მომრავლებას ასახელებენ...

— საქართველოში, წლის განმავლობაში, თავს, სამწუხაროდ, 110-180 მოქალაქე იკლავს. მიზეზები განსხვავებულია: სოციალური პრობლემები, ფსიქიკური აშლილობა, ნარკოდამოკიდებულება... სასჯელაღსრულების სისტემაში, წინა წლებთან შედარებით, სუიციდის აბსოლუტური (ზოგადი) მაჩვენებელი შემცირდა, თუმცა მკვეთრად არ შემცირებულა სტანდარტული მაჩვენებელი, რომელიც ყოველ 10 000 პატიმარზე გამოითვლება. 2013 წელს სამინისტრომ სუიციდის შემთხვევების ანალიზი ჩაატარა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სუიციდის პრევენციის პროგრამა შევიმუშავეთ, რაც ანტიდეპრესანტებით მკურნალობის კურსსაც გულისხმობს. ეს პროგრამა, ჯერჯერობით, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს 3 დაწესებულებაში მოქმედებს, თუმცა ეტაპობრივად, მთელ სისტემაში დაინერგება. ისე, პროგრამებს აბსოლუტური შედეგი არც დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში აქვს, მაგრამ ამ მიმართულებით ნებისმიერი დადებითი შედეგი მნიშვნელოვანია. სასჯელაღსრულების სისტემაში სუიციდი განვითარებული ქვეყნების პრობლემასაცაა და, სხვადასხვა კვლევით, პატიმრებში ფსიქიკური აშლილობის ზრდას უკავშირდება. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ციხეებში (სულ 84 500 პატიმარი) 2013 წელს თვითმკვლელობის 70 შემთხვევა დაფიქსირდა, საქართველოში კი იმავე წელს, საშუალოდ, 11 000 პატიმარზე — 6 შემთხვევა.

რაც შეეხება, „ობშიაკსა“ და „მაზავშიკებს“, ეს ხმა ჩვენამდეც მოვიდა. გავარკვევთ და თუ სიმართლე აღმოჩნდა, სათანადო ზომებს მივიღებთ.

— როგორც ადვოკატები ამბობენ, პატიმრებში დეპრესიას ტუბერკულოზის სამკურნალო პრეპარატები იწვევს, არ მიეწოდებათ ანტიდეპრესანტები და თვითდაზიანებას მიმართავენ. ალბათ, იცით, რომ ახლახან, პატიმარმა ე.წ. ნერწყვის ინექცია გაიკეთა...

— სამწუხაროდ, თვითდასახიჩრება ციხეში გავრცელებული პრაქტიკაა და ამას ტუბერკულოზთან კავშირი არ აქვს. თვითდაზიანება ზოგჯერ ძალადობის მსხვერპლთა შორის გვხვდება, ასევე ნარკოდამოკიდებულ პირებში, რომელთაც წარსულში ფსიქოტროპული პრეპარატების უკონტროლო მოხმარებით „აჩუმებდნენ“. 2013 წელს სასჯელაღსრულების სამინისტრომ წამალდამოკიდებულთა მკურნალობის სტანდარტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა: დაიწყო პატიმართა გადაყვანა ნარკოლოგიურ კლინიკაში, ასევე წამალდამოკიდებულ პირთა მკურნალობა და რეაბილიტაცია სპეციალური სქემებით.

პატიმარი, რომელმაც თითქოს ფეხში ნერწყვის ინექცია, „მასტირკა“ გაიკეთა (სინამდვილეში, სისხლძარღვის ემბოლია ჰქონია), დიდი რაოდენობით ფსიქოტროპულ მედიკამენტს ითხოვდა, რომელიც სიცოცხლისთვის საშიშია და, რომლის მიწოდების უფლებაც, მოთხოვნილი დოზით, ექიმს კანონით ეკრძალება. ეს პატიმარი, სამინისტროს დაფინანსებით, სამოქალაქო სექტორის ნარკოლოგიურ კლინიკაში იმყოფებოდა, სადაც ძვირადღირებული მკურნალობა ჩაუტარდა და რეაბილიტირებული დაბრუნდა, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ, ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარება კვლავ დაიწყო, რომელსაც სავარაუდოდ, სხვა პატიმრებს ართმევდა. სამედიცინო მომსახურება ხორციელდება ელექტრონული რიგის მიხედვით, რაც ყველა პატიმარს, რომელსაც გეგმური დახმარება სჭირდება, თანაბარ პირობებში აყენებს. შეუძლებელია, თვითდაზიანების ან ნაცნობობის გამო, ვინმემ რიგში წინ გადაინაცვლოს. ის პატიმრები კი, რომლებიც მძიმე თვითდაზიანებას მიმართავენ, ხელს უშლიან სხვა პაციენტების მომსახურებას, რადგან თავიანთი ქცევით რიგს აფერხებენ. ფსიქოტროპული მედიკამენტების უკონტროლო მოხმარება, დოზებისა და რეცეპტის დარღვევით, სასჯელაღსრულების სისტემაში აღარ აღდგება და ნებისმიერი პირი, რომელიც მედიკამენტების ბრუნვის წესებს დაარღვევს, უმკაცრესად დაისჯება.

— სისტემაში დამოუკიდებელი საბჭოს შექმნას განიხილავთ? სხვათა შორის, ადრე ასეთი საბჭოს წევრი სოზარ სუბარიც იყო...

— სასჯელაღსრულების სისტემის მონიტორინგს, საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, წამების პრევენციის კომიტეტი (CPT) ახორციელებს, ეროვნულ დონეზე კი ომბუდსმენის აპარატი და წამების პრევენციის ჯგუფი. დღეს სისტემა ბევრად ღია და გამჭვირვალეა, არ იზღუდება საჩივრების მექანიზმი, პატიმრები სარგებლობენ კუთვნილი სატელეფონო სერვისით, სისტემიდან წელიწადში რამდენიმე ათასი პატიმარი გადის სამოქალაქო საავადმყოფოებში, პატიმრებთან შედიან მნახველებიც, სასულიერო პირებიც და ძალიან ხშირად მედიაც; ასევე პროგრამებსა და საადვოკატო მომსახურებას ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები და ადვოკატები.

— ანუ ციხეში შემიძლია უპრობლემოდ შევიდე და პატიმრებს გავესაუბრო?

— აკრედიტაციისა და სპეციალური პროცედურების გავლის შემდეგ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. სასჯელაღსრულების სამინისტრო ყოველთვის მონაწილეობს მონიტორინგის ირგვლივ მიმდინარე განხილვებში და დასაბუთებული ინიციატივების განხორციელებისთვის მზადაა. სხვათა შორის, 2013 წელი სასჯელაღსრულების სისტემისთვის გარდამტეხი იყო: ციხეებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა გაუმჯობესდა და სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შესული საჩივრების რაოდენობაც 60%-ით შემცირდა, დაინერგა კვების ახალი სტანდარტი, დაიხურა ძველი, ამორტიზებული დაწესებულებები, სადაც ადამიანები ღირსების შემლახავ პირობებში იმყოფებოდნენ, განხორციელდა ჯანდაცვის რეფორმა, დაიწყო C ჰეპატიტის პროგრამა, მკვეთრად შემცირდა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, განახლდა ინფრასტრუქტურის ნაწილი, გადახალისდა პერსონალი, გაიხსნა ტუბერკულოზის ახალი ცენტრი, აღმოიფხვრა ძალადობრივი პრაქტიკა, ეფექტურად ამუშავდა პატიმართა პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი, მომსახურე პატიმრებს დაენიშნა ხელფასები, გამკაცრდა კონტროლი თანამშრომელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე. ამ ცვლილებების მიუხედავად, სამინისტროს გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სრული მხარდაჭერა აქვს, რომ რეფორმების ტემპი არ დაეცეს.

მართალია, სოზარ სუბარის მოადგილე აცხადებს, რომ 2013 წელი სასჯელაღსრულების სისტემაში გარდამტეხი იყო, მაგრამ სუბარის უწყებაში დანაშაული მაინც ხდება — მაგალითად, ამას წინათ, ქრთამის აღების ფაქტზე სასჯელაღსრულების სამინისტროს თანამშრომელი დაიკავეს. ისიც საგულისხმოა, რომ კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს... საერთოდ, დაკვირვება ცხადყოფს, რომ ციხე ყველა ხელისუფლების „აქილევსის ქუსლია“...

ვერსიანიუსი

დემირელის კერძო კოლეჯის მოსწავლეებმა საერთაშორისო ოლიმპიადებზე მორიგი მედლები მოიპოვეს

დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის მოსწავლეთა საერთაშორისო ასპარეზზე გამარჯვებების სერია გრძელდება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 2013 წლის მსოფლიო ოლიმპიადა ინფორმატიკაში, სადაც გიორგი გულიაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. ჟაუტიკოვის სახელობის მაღალი რეიტინგის საერთაშორისო ოლიმპიადაზე კი, რომელიც ყოველწლიურად ყაზახეთის ქალაქ ალმათიში ტარდება, გიორგი გულიაშვილმა ინფორმატიკაში ოქროს მედალი, გიორგი სხირტლაძემ და ნუგზარ ჩხაიძემ კი, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს

მხოლოდ ინფორმატიკის მსოფლიო ოლიმპიადაზე (IOI) 2003 წლიდან დღემდე კოლეჯს მოპოვებული აქვს 3 ვერცხლის, 7 ბრინჯაოსა და 1 სპეციალური მედალი ყველაზე პატარა გამარჯვებულისთვის. ამ შედეგების მიხედვით, კოლეჯი ტოლს არ უდებს ფიზიკა-მათემატიკურ სპეციალიზებულ სკოლებსაც კი და საქართველოს სკოლებს შორის — მეორე, კერძო დაწესებულებებს შორის პირველ ადგილზეა.

დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი ყოველწლიურად, ასევე მონაწილეობს ქიმიის, ბიოლოგიისა და მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში. მათემატიკის მსოფლიო ოლიმპიადაზე (IMO) დემირელის კოლეჯს დღემდე მოპოვებული აქვს 8 მედალი. აქედან 1 ოქრო, 3 ვერცხლი და 4 ბრინჯაო.

კოლეჯის მოსწავლეთა დღევანდელი თაობა ამ ტრადიციას ღირსეულად გააგრძელებს და საერთაშორისო ოლიმპიადებიდან არაერთხელ დაბრუნდებიან მედლებით ხელდამშვენებულები, მით უმეტეს, რომ კოლეჯში საამისოდ ყველა პირობაა შექმნილი.

„ვერსიანიუსი“

დიდი ლილოს მოსახლეობა ფართომასშტაბიანი აქციებით იმუქრება

ცხოვრება ნაგავსაყრელთან და საკრებულოს დეპუტატის უღიმაღუმი

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე ლილოს ნაგავსაყრელის პრობლემის გადაწყვეტას მოითხოვს და აცხადებს, რომ, თუ შესაბამისი ორგანოები, ამ კონსტრუქციულ მოთხოვნასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას არ გამოიჩენენ, შედეგის მისაღწევად უკან არაფერზე დაიხევს.

„უპირველესად, დავიწყებ კითხვით: იცით თუ არა, სად მდებარეობს დედაქალაქის ნაგავსაყრელი ანუ სად იყრება თქვენი საოჯახო, სამრეწველო და ა. შ. ნარჩენები? ისიც გეცოდინებათ, რომ დიდი ლილოს, ნასაგურის, წინუბანის, აეროპორტის, თქვენ წარმოიდგინეთ, მარტყოფის, ნორიოსა და სხვა ტერიტორიების მცხოვრებლებს საკუთარ კარმიდამოში ცხოვრება წამებად ექცათ; ეს ხალხი, 2010 წლიდან, ამაოდ აპროტესტებს ქალაქის ნაგავსაყრელის მათ ტერიტორიაზე (სხვათა შორის, სახნავ-სათეს მიწებზე) არსებობას, გაუსაძლისი, დაბინძურებული ჰაერის გამო.

საკრებულოს დეპუტატებო (ჩემი ჩათვლით), პარლამენტარებო, მერობის კანდიდატებო, ბიზნესმენებო და ჩვეულებრივო თბილისელებო, ჩვენი ნარჩენები ადამიანებსა და გარემოს სერიოზულ საფრთხეს უქმნის, საშიშროება ემუქრება საჰაერო მიმოსვლასაც. მხარი დავუჭიროთ ზემონახსენები ტერიტორიის მცხოვრებლების სამართლიან მოთხოვნებს — ეს არის ახალი, შესაფერისი ტერიტორიის მოძიება და თანამედროვე ნაგავგადამამუშავებელი ქარხნის აშენება; არსებული ნაგავსაყრელი-პოლიგონის დაკონსერვება და ყველა შემდგომი უსაფრთხოების დაცვა. ჩემი მხრიდან გპირდებით (ვისაც უნდა, მუქარად ჩათვალოს), თუ არ გაჭრის კონსტრუქციულობა, უკან არაფერზე დავიხევ... ასევე მჭირდება მთავრობისა და პარლამენტის მხარდაჭერაც. არც დროის გაწელვა და არც საკითხის მიფუჩჩება არავის გამოუვა. აქამდე კონსტრუქციულ რეჟიმში ყველაფერს ვაკეთებდი, ამის მერე სხვანაირად იქნება და არამარტო ამ პრობლემაზე. დროა, ყველაფერი, რაც ძალიან მტკივნეული და პრობლემატურია, მუშაობის 24-საათიან რეჟიმში გადაწყდეს. ყველაფერი დღის სინათლეზე გამოვა — არასწორი გადაწყვეტილებები და დაკარგული მილიონები. არსებული ნაგავსაყრელის დახურვის შემდეგაც, უამრავი თანხა იქნება საჭირო მისგან გამოწვეული საფრთხის თავიდან ასარიდებლად. ჩვენ კიდევ ბევრჯერ შევეჯახებით უგნური გადაწყვეტილებების შედეგს, ახლა მთავარია მოსახლეობის დაცვა!“ — აცხადებს **გულიკო ზუმბაძე**, რომელიც ამ განცხადებამდე თბილისის სამგორის რაიონის შეერთებული სოფლების მოსახლეობას შეხვდა. საკრებულოში გამართულ შეხვედრას მერიის გამწვანების სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი ქორქაშვილი, „თბილსერვისჯგუფის“ დირექტორი თორნიკე შიოლაშვილი, ასევე საკრებულოს წევრებიც დაესწრნენ და დიდი ლილოს, წილუბნისა და ნასაგურის ტერიტორიაზე არსებული ნაგავსაყრელის თემა განიხილეს.

გულიკო ზუმბაძის განცხადებით, ნაგავსაყრელი, რომელიც მოსახლეობის საცხოვრებელ ტერიტორიასთან საკმაოდ ახლოსაა, საფრთხეს ხალხის ჯანმრთელობას უქმნის. მისივე თქმით, აღნიშნული ნაგავსაყრელი აეროპორტის გამართული მუშაობისთვისაც საშიშია, ამიტომ ცალსახად დგას არსებულის დაკონსერვებისა და ალტერნატიული ნაგვასაყრელის მოძიების საკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსახლეობა ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებს გამართავს.

ზემოხსენებულ შეხვედრაზე საკუთარი პოზიცია „თბილსერვისჯგუფის“ ხელმძღვანელმა, თორნიკე შიოლაშვილმაც დააფიქსირა. მისი განმარტებით, „თბილსერვისჯგუფი“ ნაგავსაყრელის ტერიტორიის მოვლა-პატრონობას ახორციელებს და ეს წინასწარ არსებული პროექტისა და მერიასთან გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად ხდება. მისივე თქმით, საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტების კვალიფიციური დასკვნის შემუშავების შემთხვევაში, „თბილსერვისჯგუფი“ მისი განხორციელებისთვის მზადაა.

როგორც შეხვედრაზე გახდა ცნობილი, კონსულტაციები გაგრძელდება, რომელშიც საკრებულოსა და მერიასთან ერთად მოსახლეობაც აქტიურად იქნება ჩართული.

„თუ ქარიანი ამინდია, მძღოლებს გავლა უჭირთ, მთელ გზაზე ცელოფნის პარკები ფრიალებს, რომელიც იქვე მდებარე სარწყავ არხში გროვდება. ნაგავსაყრელი 2005 წელს ებრაელებს უნდა აეშენებინათ მაღალი ტექნოლოგიებით, ამაზე კობა ბუჩუკურმა დიდი შრომა გასწია — ნაგვის გადამუშავება ისე უნდა მომხდარიყო, სამრეწველო გაზი გამომუშავდებოდა, რომელსაც წარმოება მოიხმარდა. ებრაელებმა დიდი სამუშაო ჩაატარეს, მაგრამ უგულავას მთავრობამ ეს ინვესტორები გააქცია და რა სახის ნაგავსაყრელიც მივიღეთ, სახეზეა“, — ამბობს ადგილობრივი მცხოვრები **მანანა მამადაშვილი.**

ამას წინათ, დიდ ლილოში „ვერსიაც“ იმყოფებოდა და იქ არსებულ სავალალო ეკოლოგიურ მდგომარეობას ადასტურებს: ამ ნაგავსაყრელის გამო, რამდენიმე სოფელი დაბინძურებულ ჰაერს სუნთქავს. ერთმა მამაკაცმა „ვერსიას“ შესჩივლა, შუაღამისას ავდექი, ფანჯარა გამოვაღე და იქვე ჩავიკეცეო. ცოდოა ეს ხალხი, პრობლემის მიჩუმათება კი დაუშვებელია. ბიუჯეტში თანხები უნდა მოიძებნოს და დაპირებული ევროპული სტანდარტის ნაგავსაყრელი აშენდეს, დრო არ ითმენს — ხალხი შველას ითხოვს.

ამიერიდან, საყოველთაო ჯანდაცვა კერძო სადაზღვევო კომპანიებში დაზღვეულ 400 ათასამდე ადამიანზეც გავრცელდება

რა წერია მთავრობის 218-ე დადგენილებაში და სად გაქრა ნაციონალების ყბადაღებული 100 საავადმყოფო

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს ინფორმაციით, კერძო სადაზღვევო კომპანიებიდან 400 000-მდე ბენეფიციარის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში გადასვლა სადაზღვევო კომპანიებს საფრთხეს კი არ შეუქმნის, პირიქით, განვითარების საშუალებას მისცემს; დავით სერგეენკოს განმარტებითვე, მთავრობის 218-ე დადგენილებით, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, პედაგოგების, დევნილების, სახელმწიფო პრემიის ლაურეატების, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარების, ტრეფიკინგის მსხვერპლად აღიარებულებისა და გალის ტერიტორიაზე მდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგების ჯანდაცვის ადმინისტრირებაზე ამიერიდან სახელმწიფო იზრუნებს.

როგორც მინისტრი განმარტავს, 400 000-მდე ბენეფიციარს აქამდე არ ჰქონია სამედიცინო დაწესებულების თავისუფალი არჩევის უფლება, გეგმური სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში კი ე.წ. მოცდის პერიოდი, მაქსიმუმ, 6 თვე იყო, ხოლო ახლა ეს ვადა 2 თვემდე შემცირდა. ცვლილებაა მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციარ ბავშვთა კუთხითაც: მათ, ვისაც პირადობის მოწმობა არ ჰქონდა და ამის გამო სამედიცინო სერვისით ვერ სარგებლობდნენ, მსგავსი პრობლემა აღარ შეექმნებათ — მზრუნველობამოკლებული ბენეფიციარი ბავშვები სამედიცინო მომსახურებას დოკუმენტების მოწესრიგებამდე მიიღებენ. მთავრობის 218-ე დადგენილებით, ბენეფიციარებმა საყოველთაო ჯანდაცვის ოფისებს უნდა მიმართონ.

ამოქმედდა კიდევ ერთი სიახლე: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულმა სამედიცინო დაწესებულებებმა ახალი მოსარგებლეების რეგისტრაცია სპეციალური სააღრიცხვო დოკუმენტით უნდა მოახდინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ის პოლიკლინიკა და კლინიკა, რომელიც პაციენტის უფლებას დაარღვევს და მასთან შეთანხმების გარეშე დაარეგისტრირებს, დაჯარიმდება.

დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრი, არასამთავრობო ორგანიზაცია „გვახსოვდეს ჰიპოკრატეს“ ხელმძღვანელი **მარინა ბერაძე** ჯანდაცვის სამინისტროს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას ეთანხმება და „სწორ ნაბიჯად აფასებს“; მისივე აზრით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ამ კატეგორიის გადმოყვანა უფრო ადრე უნდა მომხდარიყო:

„არ არსებობს ქვეყანა, სადაც სრული დამფინანსებელი სახელმწიფო ბიუჯეტია და უმწეო მოქალაქეებს სამედიცინო დახმარებას კერძო სადაზღვევო კომპანიები აწვდიან. ასე რომ, ახლა წონასწორობა აღდგენილია და რაშიც სახელმწიფო ბიუჯეტი ფულს იხდის, პაციენტამდე კერძო სადაზღვევო კომპანიის გავლით აღარ მივა. არსებული სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც ბენეფიციარებს ამ სერვისებს აწვდიდნენ, რეალურად მომგებიანი ორგანიზაციები არიან ანუ ჩვენთან წამგებიანი სადაზღვევო კომპანია, კერძოა თუ საჯარო, არ არსებობს. წლების განმავლობაში, ეს კომპანიები მოგებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხებით იღებდნენ და ინფრასტრუქტურა სწორედ ბიუჯეტის თანხებით შექმნეს. როგორც ჩანს, სახელმწიფო გონს მოეგო და ჩათვალა, რომ უკეთესი იქნება, ეს თანხა ბიუჯეტიდან ბენეფიციარამდე შუამავალი რგოლის გარეშე, პირდაპირ მივიდეს“.

„ვერსიასთან“ საუბრისას, მარინა ბერაძე ყურადღებას ზუგდიდში ახალი საავადმყოფოს დაანონსებულ მშენებლობაზეც ამახვილებს და ქალაქის სახელმწიფო ბიუჯეტით აშენებული საავადმყოფოს ბედით ინტერესდება:

„სახელმწიფომ თავის ბიუჯეტით, რისი საბუთებიც არსებობდა, ზუგდიდსა და ქუთაისში მრავალპროფილური საავადმყოფოები ააშენა, რომლებიც მერე, გარკვეული მაქინაციების წყალობით, 100 საავადმყოფოს პროექტში შევიდა. სახელმწიფო ბიუჯეტით გაკეთებული ობიექტები სადაზღვევო კომპანიებმა კერძო საკუთრებად გადააქციეს. არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ზუგდიდის საავადმყოფოც ახლა კერძო მესაკუთრის ხელშია, ისიც გასარკვევია, ეს სამკურნალო ობიექტი მუშაობს თუ არა. კერძო მესაკუთრეს შეუძლია იქ ხუთი წლის შემდეგ სასტუმრო გახსნას და ამაზე პასუხს არავინ მოსთხოვს. მაღელვებს, ბიუჯეტის თანხები რაციონალურად იყოს გამოყენებული და ერთი და იგივე მიზნისთვის რამდენჯერმე არ იხარჯებოდეს. თუ ასეთი მშენებლობების ან კერძო სადაზღვევოებისთვის თანხების გადარიცხვით ბიუჯეტს არ დავზოგავთ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დისკრედიტაცია მოხდება, რადგან საკმარისი თანხა აღარ აღმოჩნდება. ისე, კარგი იქნება, თუ მოვიკითხავთ, სად წავიდა ის 100 საავადმყოფო, რომელიც წინა ხელისუფლების დროს აშენდა, რა დაემართა ამ ინფრასტრუქტურას? სამკურნალო ობიექტების ხელახლა აშენება რატომ გვიწევს? ზუგდიდში ხომ იყო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და აშენებული საავადმყოფო, სად გაქრა? ამ დროს ირკვევა, რომ ბიუჯეტიდან კიდევ 81 ამბულატორია უნდა ავაშენოთ... ფაქტია, დღეს ინფრასტრუქტურაში თანხები ხელახლა იდება და თუ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებას დააკლდება, ნაციონალური მოძრაობა იდეის დისკრედიტაციას მოახდენს. არადა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ყველაზე სწორი გადაწყვეტილებაა, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ მიიღო“.

ჯანდაცვა ქვეყნის განვითარების სტრატეგიული დარგია და მის გამართულ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. წლების განმავლობაში, სისტემაში დახარჯული ასეულობით მილიონისა და აშენებულ-გაპიარებული ობიექტების ბედი იმიტომ უნდა გაირკვეს, რომ შეცდომებისა თუ კორუფციის ფაქტებისგან სამომავლოდ მაინც ვიყოთ დაზღვეულები. სახელმწიფოს მიზანი მოქალაქეების სრულფასოვანი სამკურნალო სერვისებით უზრუნველყოფაა და ყველა ნაბიჯი სწორედ ამ მიზნისკენ უნდა იყოს გადადგმული.

ბიზნესის ახალი სახეობა — რიგში დგომა

ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, ვისაც რიგში დგომა უყვარს, თუმცა „ონლაინ-დუდესი“ — ახალი სერვისია ნიუ-იორკში, რომელიც კლიენტებს მათ ნაცვლად რიგში დგომას სთავაზობს გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ — რიგში დგომის პირველი ერთი საათი 25 დოლარი ღირს, ყოველი შემდგომი ნახევარი საათი კი — 10. ამ გზით ფულის შოვნის იდეა რობერტ სემუელს მაშინ დაებადა, როცა ახალი iPhone 5-ის რიგში დგომისა და ორი გაჯეტის გაყიდვის შემდეგ, 325 დოლარი იშოვა. გამჭრიახი ამერიკელი ამბობს, რომ ჩვენს დროში ეს სამუშაო მეტად აქტუალურია. ადამიანებს ისე სურთ, ახალი ნივთის მფლობელები გახდნენ, თითქოს მეორე დღეს სამყაროს აღსასრული დგება. წარსულში ამგვარი ორგანიზაციები უკვე არსებობდა, მაგრამ მათი მუშაობის მეთოდი, ცოტა არ იყოს, არაეთიკური იყო. ადამიანები პროდუქციას ბითუმად ყიდულობდნენ და შემდეგ შედარებით მაღალ ფასად ყიდდნენ. რობერტი კი ამტკიცებს, რომ „წესებს იცავს“ და აქედან გამომდინარე, მისი კლიენტების ბაზაში რამდენიმე ძალიან მდიდარი ადამიანიც მოხვდა. როცა ზოგიერთ მათგანს მოუნდება სტუმრებისთვის ჩაიზე მისაყოლებელი იყიდოს, სემუელი საცხობში უმალ ჩნდება და რიგში დასადგომად ყოველთვის მზადაა — პორტატული დამტენი, ორი iPhone, iPad mini და ხელების გასათბობი საშუალება, შეზლონგი, MetroCast და HBO Go იმის მატერიალური დადასტურებაა, რომ ხანგრძლივად რიგში დგომისას არ მოიწყენს. ყველაზე დიდხანს, 19 საათს იგი iPhone 5-ის გასაყიდად გამოტანას ელოდა. დღეისთვის სხვის ნაცვლად რიგში დგომა რობერტისთვის ბიზნესად იქცა, საიდანაც საკმაოდ კარგ შემოსავალს იღებს.

ქალიშვილს მილიონ „ლაიქად“ ათხოვებს

იემენში მცხოვრები სალემ აიაში თანახმაა, ქალიშვილი გაათხოვოს, თუკი სასიძო შეძლებს, სიმამრის Facebook-ის გვერდმა მილიონი „ლაიქი“ მიიღოს. აიაშმა ცოტა ხნის წინ შექმნა საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელში, სადაც თავის ლექსებს აქვეყნებს, თუმცა, ჯერჯერობით, 30 ათასი მომხმარებელი ჰყავს.

ინტერნეტმომხმარებელთა ნაწილმა დაგმო მამის ასეთი საქციელი და შვილით სპეკულაცია უზნეობად მიიჩნია, თუმცა არიან ისეთებიც, ვინც აიაშს მხარს უჭერს და ამბობენ, რომ ამ გზით საზოგადოების ყურადღებას გაამახვილებენ საქორწილო გამოსასყიდზე, რომელიც ძალიან აქტუალურია იემენის ახალგაზრდებში. სალემი ამბობს, რომ იცის, როგორ უჭირს ახალგაზრდობის უმრავლესობას ქორწილისთვის საჭირო თანხის შეგროვება და მზადაა, „ლაიქების“ რაოდენობასაც დააკლოს, თუკი სასიძო მონდომებული აღმოჩნდება.

ორი წლის პატარამ დედა გადაარჩინა

დიდ ბრიტანეთში, ქალაქ ლესტერშირში მცხოვრებმა ორი წლის რაილი უორდმა შეძლო ავადმყოფი დედის გადარჩენა, როცა დამოუკიდებლად დარეკა სასწრაფოში, ნომერზე — 999 და ოპერატორს გააგებინა, რომ დედამ გონება დაკარგა. რაილიმ ტელეფონში ის თქვა, რასაც ხედავდა: „დედა არ იღვიძებს“. სასწრაფო დახმარების ოპერატორმა ბავშვის სიტყვები სერიოზულად აღიქვა და მათთან დასახმარებლად ბრიგადა გაგზავნა. შემთხვევის ადგილზე მისულმა ექიმებმა ქალი უგონო მდგომარეობაში აღმოაჩინეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ დროულმა დახმარებამ რაილის დედას სიცოცხლე შეუნარჩუნა. როგორც ბიჭის დედა ამბობს, იგი ადრეული ასაკიდანვე ასწავლიდა შვილებს, როგორ გამოეძახათ სასწრაფო დახმარება, თუკი დედა ან მამა „არ იღვიძებენ“. ის ფაქტი, რომ ორი წლის ბავშვმა საჭირო ციფრები გაიხსენა, მშობლებს სიამაყის საფუძველს ნამდვილად აძლევს.

ქორების გავრცელებისთვის ციხეში ჩასვამენ

ყაზახეთის სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მიხედვით, ქორების გავრცელებისთვის ადამიანს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება, რაც 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. კერძოდ, ახალი სტატია კოდექსში ბანკების მუშაობის შესახებ ხმების გავრცელებისას გამოიყენება. პროკურორმა მაგალითად წლის დასაწყისში შექმნილი ვითარება მოიყვანა, როცა ყაზახეთის მცხოვრებლებს მოკლე ტექსტური შეტყობინებები მიუვიდათ ამა თუ იმ ბანკის გაკოტრების თაობაზე, რამაც მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. სასჯელი გამოყენებული იქნება ისეთი შემთხვევების დროსაც, როგორიც ქალაქ ტარაზში მოხდა — აქ გავრცელდა ჭორი, რომ დამბა გაირღვა და შეშინებული ხალხი შუაღამისას სახლიდან გარბოდა. დღეს ყაზახეთში ჭორების გავრცელება მხოლოდ ადმინისტრაციულ სასჯელს ითვალისწინებს.

იდეალური კაფე ქალებისთვის

სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში კაფე გაიხსნა, რომლის წინაც, კვირის ნებისმიერ დღეს, გოგონები და ქალები გრძელ რიგში დგებიან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ დაწესებულების მენიუში განსაკუთრებული არაფერია, ყველაფერი მარტივია, აი, საბოლოოდ ჩეკი კი საკმაოდ ძვირიანი გამოდის. სუსტი სქესის წარმომადგენლებს კაფეში საჭმელი კი არა სულ სხვა რამ — აქაური ახალგაზრდა, ლამაზი და მეტად თავაზიანი ოფიციანტები იზიდავს. ისინი არც გახდილები დადიან და არც ფლირტს იწყებენ კლიენტებთან — უბრალოდ უღიმიან მათ და შეუძლიათ სასიამოვნო საუბრის გაბმა. ეს კი სავსებით საკმარისია მშვენიერი სქესის მოსახიბლად, რომლებიც ხშირად დიდ თანხასაც უტოვებენ მომსახურე პერსონალს და არც სასიყვარულო წერილებს იშურებენ. კაფეს საკუთარი საიტი არ აქვს, თუმცა რეკლამა არც ესაჭიროება — კლიენტები თავად უყვებიან მის შესახებ მეგობრებს და სოციალურ ქსელებში გამოხმაურებასაც წერენ.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ილბლიანმა წყვილმა ჯეკპოტი სამჯერ მოიგო

ამერიკელი წყვილი — კალვინ და ზატერა სპენსერები, შეიძლება ითქვას, მსოფლიოში ყველაზე ილბლიანია. ვირჯინიის შტატში მცხოვრებმა სპენსერებმა ლატარიაში სამჯერ მოიგეს ჯეკპოტი და უცებ მილიონერები გახდნენ. პირველად თვის დასაწყისში კალვინმა და ზატერამ ერთი მილიონი დოლარი მოიგეს. ორი კვირის შემდეგ კვლავ ითამაშეს და ამჯერადაც ფორტუნა მათ მხარეს აღმოჩნდა — ჯილდოდ 50 ათასი ერგოთ, ხოლო თვის ბოლოს მათ ანგარიშზე კიდევ ერთი მილიონი დოლარი გაჩნდა — მესამე მოგებული ჯეკპოტი. სპეციალისტები ამბობენ, რომ მსგავსი შემთხვევა 5 მილიონში ერთხელ შეიძლება მოხდეს. გახარებული და ბედნიერი სპენსერები კი აცხადებენ, რომ ლატარიის თამაშს კვლავაც გააგრძელებენ და იმედოვნებენ, რომ ხელცარიელები არც მომავალში დარჩებიან.

სუდოკუ ფანია

ადვილი

					7	4	6	
		5		9		7	3	
		7	5		2			
		9			3			
5								1
			6			9		
			8		4	2		
	1	6		2		8		
	9	8	3					

სტანდარტი

	7				4		6	
	5			3				8
2		8					4	
			6			9		
1		9		8		4		2
		7			3			
	4					8		9
8				5			7	
	9		3				5	

რთული

1						2		8
			2		8			
			6				1	
	9						5	1
7		5	3		1	6		9
4	3						2	
	4				9			
			7		6			
2		8						3

ექსპერტი

3		7				9		
	5			7			1	
2	1		8				5	3
				8	3			
8			6		7			1
			9	4				
5	7				2		8	9
	8			5			3	
		1				5		7

სოკო კიბოსგან იცავს

იაპონური სოკოს — შიიტაკეს გან მიღებული ექსტრატი კლავს ადამიანის პაპილომა-ვირუსს, რომელიც საშვილოსნოს ყელის კიბოს იწვევს. ამ ვირუსით ინფიცირდება ქალების სამი მეოთხედი. მღრღნელებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ სოკოს ექსტრატი ვირუსს სხეულიდან 90 დღის განმავლობაში განდევნის, ასევე აფერხებს სიმსივნური წარმოანქმნის ზრდას. სპეციალისტების მოსაზრებით, ამ დანამატმა, შესაძლოა, შეცვალოს პაპილომა-ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა. ტეხასის უნივერსიტეტის მკვლევარები აცხადებენ, რომ სოკოს ექტსტრატის შესწავლა ჯერ კიდევ 2008 წელს დაიწყეს. ეს ნაერთი იმუნოთერაპიის მსგავსად მოქმედებს ანუ ვირუსთან საბრძოლველად იმუნურ სისტემას იყენებს. ლაბორატორიული და კლინიკური კვლევების შედეგად სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ შიიტაკეს ექსტრატი ზრდის ბუნებრივი მკვლელი-უჯრედების, დენდრიტული უჯრედებისა და ციტოკინების რაოდენობას. ეს საშუალებას აძლევს იმუნიტეტს, ოპერატიულად მოახდინოს რეაგირება საფრთხეზე და სიმსივნური უჯრედების გამრავლება დაბლოკოს.

დიაბეტი ტვინის მოცულობას ამცირებს?

სწავლულებმა შაქრიანი დიაბეტისას მეხსიერების დაქვეითების ძირითადი მიზეზი დაადგინეს. აღმოჩნდა, რომ ამ დაავადებისას შესაძლებელია თავის ტვინის მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირება, განსაკუთრებით მძაფრად კი ეს პათოლოგია ვითარდება 40-64 წლის ასაკში. ეს მონაცემები დადასტურდა შაქრიანი დიაბეტის მქონე 1,4 ათასი პაციენტის ანალიზების შესწავლისას. ტვინის სკანირებამ აჩვენა მისი საშუალოდ 2,9%-ით შემცირება, ყველაზე მეტად კი ჰიპოკამპი აღმოჩნდა დაზარალებული — ის 4%-ით შემცირდა. ტვინის ეს სტრუქტურა პასუხისმგებელია პროცესზე, რომელიც ინფორმაციის დამახსოვრებას უკავშირდება. ჰიპოკამპის შემცირება მეხსიერების როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ დაკარგვას იწვევს.

ზიმზილობა სასარგებლოა

ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ზომიერი შიმშილობა სასიკეთოდ მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. როგორც დადგინდა, თუ იშიმშილებთ ერთხელ მაინც დროის სამ დეკადურ მონაკვეთში, გულის დაავადებების განვითარების რისკი 50%-მდე იკლებს. მეტი სარგებელი მოაქვს შიმშილობას მათთვის, ვისაც ასთმა აწუხებს. გარდა ამისა, დროებით შიმშილობას ონკოლოგიური უჯრედების ზრდის დონე მინიმუმამდე დაჰყავს. მეცნიერთა მოსაზრებით, ამ მეთოდის მაქსიმალური ეფექტისთვის საკმარისია ორგანიზმი მთელი დღის განმავლობაში კი არ აშიმშილოთ, არამედ რამდენიმე საათით.

ეფექტური თმა და საშინელი დიეტოზი

პრეპარატი, რომელიც დიაბეტის იშვიათი ფორმის სამკურნალოდ გამოიყენება, თმის უჩვეულოდ სწრაფად ზრდას იწვევს. სოფი ფილდჰაუსი — პატარა გოგონაა გრძელი, ოქროსფერი თმით, ისეთით, როგორიც რაპუნცელს აქვს ზღაპარში, არადა ექვსი წლის სოფის დიაბეტის იშვიათი და პოტენციურად სასიკვდილო ფორმა აქვს, რომელსაც თანდაყოლილ ჰიპერინსულიზმს უწოდებენ და ამ დროს სისხლში შაქრის დონე ქვეითდება. დაავადების მკურნალობის მცირეოდენი მეთოდებიდან ერთ-ერთი პრეპარატი დიაზოქსიდია და სწორედ ის ზრდის ასე სწრაფად თმას. სოფი 18 თვის იყო, როცა ეს საშინელი დაავადება დაუდგინეს და მასთან ერთად, ათიოდე ბავშვს ახალი მეთოდით მკურნალობა დაუწყეს, რომლის დროსაც თევზის ქონს გამოიყენებენ. მეთოდი ისეთი წარმატებული აღმოჩნდა, რომ გოგონა დიაზოქსიდს უკვე აღარ იღებს და ახლა პატარა რაპუნცელის წყალობით, მედიკოსები თანდაყოლილი ჰიპერინსულინიზმის მქონე სხვა ბავშვებსაც განკურნავენ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

7	4	6	9	5	3	2	1	8
5	3	2	1	8	7	4	6	9
9	1	8	4	6	2	5	7	3
8	2	9	7	4	6	3	5	1
6	5	1	3	2	9	8	4	7
3	7	4	8	1	5	9	2	6
4	9	3	5	7	1	6	8	2
2	8	7	6	3	4	1	9	5
1	6	5	2	9	8	7	3	4

სტანდარტი

2	1	9	3	5	4	8	7	6
5	8	7	6	2	9	4	1	3
6	4	3	1	7	8	2	5	9
4	3	8	2	6	5	1	9	7
1	9	6	8	4	7	3	2	5
7	2	5	9	3	1	6	4	8
3	7	4	5	8	2	9	6	1
9	6	2	7	1	3	5	8	4
8	5	1	4	9	6	7	3	2

რთული

3	4	8	2	5	7	9	6	1
2	6	1	3	9	8	4	7	5
9	5	7	6	1	4	8	3	2
7	3	9	8	2	1	6	5	4
8	2	6	7	4	5	3	1	9
5	1	4	9	6	3	2	8	7
6	9	5	1	3	2	7	4	8
4	8	3	5	7	9	1	2	6
1	7	2	4	8	6	5	9	3

ექსპერტი

5	9	4	3	7	6	2	1	8
8	3	2	1	9	5	6	7	4
7	6	1	2	8	4	9	5	3
3	8	9	7	4	2	5	6	1
2	1	7	5	6	3	8	4	9
4	5	6	8	1	9	7	3	2
1	4	8	9	5	7	3	2	6
6	7	3	4	2	8	1	9	5
9	2	5	6	3	1	4	8	7

მე-12 გვერდი: 1. ნომოკანონი; 2. გვინეველა; 3. ნოზოფობია; 4. მური; 5. კიური; 6. ნაივი; 7. ვიმინალი; 8. ნატვრისთვალი; 9. ვადა; 10. რური; 11. მზარეული; 12. აბულია; 13. სეანსი; 14. მონა; 15. მატადორი; 16. არიელი; 17. არეალი; 18. აფრიკა; 19. სიმი; 20. აპლიკაცია; 21. „ფერარი“; 22. ეფა; 23. ერბო; 24. ანძა; 25. ნარა; 26. უბე; 27. რეალი; 28. რადარი; 29. ნალი; 30. იასპი; 31. ლისიპე; 32. თელავი; 33. ალბა; 34. სარი; 35. იპონი; 36. ლილვი; 37. რაიმსი; 38. ბერეტი; 39. პაიკი; 40. არილი; 41. ილი; 42. ოინი; 43. ირაო; 44. ლორდი; 45. ენი; 46. არამ; 47. აჯიკა; 48. ეკრანი; 49. ცერი; 50. მული; 51. რიწა; 52. წაბლი; 53. ზიარება; 54. მნე; 55. კიტრი; 56. პინა; 57. ხმიადი; 58. ემი; 59. უჯარმა; 60. ალა; 61. ზოია; 62. ვარდი. 63. ომარ.

დიაგნოზს ჩიპით დასვამენ



სულ მალე დიაგნოზის დასმა ადამიანის სხეულში ჩამონტაჟებული ჩიპებით იქნება შესაძლებელი. სენსორები და ჩიპები უკვე შექმნილია და ახლა იხვეწება. ჩიპი პაციენტის სხეულში კანქვეშ თავსდება, — ამბობს ორგანიზაცია Electronic Frontier-ის მთავარი სპეციალისტი პიტერ ეკერსლი. როგორც მეცნიერები ამბობენ, ხელსაწყოს წყალობით, პიროვნების აქტივობის დონისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გამოჩნდება. სწავლულთა თქმით, ამ ხერხით ქრონიკული დაავადებების აღმოფხვრა იქნება შესაძლებელი. გავრცელებული ინფორმაციით, ციფრული მონყობილობა სამომხმარებლო ბაზარზე უახლოეს მომავალში გამოჩნდება. სენსორების წყალობით, ექიმს სრული ინფორმაცია ექნება, როგორ რეაგირებს პაციენტი მედიკამენტებზე, რა დოზაა მისი ორგანიზმისთვის საჭირო და სხვ.



1. წონის ერთეული, 100 კგ
2.მარცვლეულის შესანახი ნაგებობა
3. აისბერგის მსხვერპლი ხომალდი
4. დიდი გარეული ფრინველი
5.ძვ. ათენის უმაღლესი სასამართლო
6.ყოფილი ქართული საესტრადო კოლექტივი
7.მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი ბრილიანტი
8. ცუდი ამინდი
9. ჰამლეტის დედა
10. მთის ცხვრის ერთ-ერთი სახეობა
11.ქრისტინობისთვის წამებული არაბი
12. ხასიათი, ნირი
13. მუს. ნაწარმოების შესავალი ნაწილი
14. სამხ. ისმაილიტური სექტა შუა საუკუნეებში
15.ცხენის ზურგზე გადასაფარ. ქსოვილი
16. ცხენთსარბიელი
17. „ოთახი“ მატარებლის ვაგონში
18.რომის ერთ-ერთი ბროცვი
19.ქალაქი ფლორიდის შტატში
20.ავტოსაგზაო შემთხვევა
21. ფინური აბანო
22.ამაღლება. ადგ. ორატორისათვის
23. პეტრარკას სატრფო
24.ბერძ. ანბანის ბოლო ასო
25. ჩრდ. ამერიკის უდიდესი მდინარე
26. ჯეკ ლონდონის „მარტინ ...“
27. განიავება, ბუნებრივი ვენტილაცია
28.წყვილი ერთიანი კამათელზე
29.იგივეა, რაც ჭრილობა
30.ლეონარდო და ვინჩის მასწავ.
31.ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი
32. მომჭირნეობა
33. ძვ. ფრანგული სიგრძის საზომი
34.ადამიანი, რომელსაც სმენა არ აქვს
35.სოფლური ქოხი შვეიცარიის ალპებში
36. ფრანგი ფერმწერი
37.ჰარამხ. მსახ. ქალი
38მოულოდ. შემოწმება
39. ჯუზეპე ვერდის ერთ-ერთი ოპერა
40. იტალიური საწვავი
41.მომკლილი თავთ. კონა
42.ბანქოს ფიგურა
43. ხის ქოჩორი, ვარვი
44.აშშ-ის ექსპრეზიდენტი ... კლინტონი
45.რუსი საბჭოთა კინორეჟისორი
46. რომან „ნათლიმამას“ ავტორი
47. მოავჯირის ფიგურული სვეტი
48. მოთმინებით ცნობ. ბიბლ. პერსონაჟი
49. სახოტბო ლექსი
50ოპერა „დონ კიხოტის“ ავტორი
51. გერმანული ფაშიზმის ერთ-ერთი სახელწოდება
52. კიმონოს შესაკრავი ქამარი
53. სინათლე ბავშვის ენაზე
54. მსახიობი ... აფლეკი
55.მოგზ. ნიკოლოზ მიკლუხო-...
56. არანამდვილი, ყალბი
57. ყურძნის მცენარე
58. რეჟისორი ფილმისა „ქალაქი ანარა“
59. იაპონელი მწერალი კობო ...
60. ყველაფრის სარგო წამალი
61. პოეტი ... ჩიქოვანი
62. დარდი, წუხილი
63.ღრმა ორმო წყლისათვის
64. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება

ყავა ვისკის არომატით

ყავის მოხალვის ოსტატმა ტელ ფიშმენმა ორიგინალურ მეთოდს მიაგნო, რომლის გამოყენებითაც ყავის მარცვლებს ვისკის არომატი ენიჭება. ორი წლის განმავლობაში ფიშმენმა მწვანე ყავის მარცვლები ბურბონის ხის კასრში ჩაყარა, შემდეგ კი ყავა მოხალა და შედეგიც მეტად შთამბეჭდავი აღმოჩნდა: ყავას ვისკისთვის დამახასიათებელი არომატი აქვს, დაჰკრავს კაკაოს, გამომწვარი მუხისა და თაფლის გემოც. უნიკალური არომატი დიდხანს რომ შეინარჩუნოს, „ვისკიანი“ ყავა ჰერმეტულ ჭურჭელშია მოთავსებული და ერთი ბოთლის ფასი 50 დოლარია.

არაბები ხეებს დანიმრავენ

ხეებს, რომლებიც არაბთა გაერთიანებული საამიროების ტერიტორიაზე იზრდება, უახლოეს პერიოდში უნიკალურ ციფრულ კოდს მიანიჭებენ, ასეთი დაფის არსებობა კი იმის მანიშნებელი იქნება, რომ მცენარეს სახელმწიფო იცავს და განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი აქვს. პირველ რიგში ასეთ კოდებს მრავალწლიან ხეებს მიანიჭებენ. გარდა ვიზუალური ინფორმაციისა, ყოველი ციფრული ჩანაწერი აღჭურვილი იქნება გადამცემით, რომელიც საინფორმაციო ცენტრს ობიექტის შესახებ მონაცემებს და მის ადგილმდებარეობას გადასცემს. ხეების სამართლებრივი სტატუსი კი იმაზე მიანიშნებს, რომ მათი დაზიანება, მოჭრა ან სხვა ადგილას გადატანა იკრძალება, ხოლო კანონის დამრღვევს 300-დან 13 ათას დოლარამდე ჯარიმა დაეკისრება.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.